



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მანდარინის ღიკაბუღებუტუ ჟუჭვის უნაღიზი უჭუკის რიბიონი



მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი აჭარის რეგიონში

**პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან
თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ დაფინანსებულია ევროკავშირის
მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ“**

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის
შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ფიფლ ინ ნიდ“ და პი ემ სი კვლევითი
ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

თბილისი, 2018

კვლევის კოორდინატორი: **ნინო
ხატისაშვილი**

უფროსი მკვლევარი: **ირაკლი (რატი)
კოჭლამაზაშვილი**

უმცროსი მკვლევარი: **მარიამ
სალარეიშვილი**

კვლევის პროცესში აქტიური
მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა
სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციებმა:

- **ხულოს ადგილობრივი
განვითარების ჯგუფი;**
- **ქედას ადგილობრივი განვითარების
ჯგუფი;**
- **„ასოციაცია „შავი ზღვის ეკო
აკადემია“;**
- **ქართველ მუსლიმთა კავშირი.**

შინაარსი

აბრევიატურები და აკრონიმები	7
1.შემაჯამებელი მიმოხილვა.....	7
2. კვლევის მიზანი	10
3. კვლევის მეთოდოლოგია	11
3.1. პროდუქტის შერჩევა.....	11
3.2. საოფისე სამუშაოები	11
3.3. საველე სამუშაოები	11
4. კვლევის შეზღუდვები	14
5. სექტორის მოკლე მიმოხილვა	15
5.1. მანდარინის წარმოება მსოფლიოში	15
5.2. მანდარინით ვაჭრობა მსოფლიოში.....	18
5.3. მანდარინის წარმოება საქართველოში	19
6. კვლევის არეალი: აჭარის რეგიონი.....	22
6.1. ზოგადი დახასიათება.....	22
6.2. მანდარინის სახეობები და ჯიშები.....	25
7. მანდარინის ექსპორტ-იმპორტი.....	27
7.1. მანდარინის ექსპორტი საქართველოდან.....	27
7.2. მანდარინის იმპორტი საქართველოში	31
8. აჭარის რეგიონის მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვი	33
8.1. აჭარის მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა	33
8.2. აჭარაში ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა	35
8.2.1. აჭარაში მანდარინის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები	36
8.2.2. მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები	40
9. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი	45
9.1. მწარმოელთა დანახარჯები და შემოსავლები	45
9.2. დამატებული ღირებულების ანალიზი	47
10. მანდარინის ბაზარი ევროკავშირში	52
10.1. საქართველო და ევროკავშირი.....	54
11. მთავარი მონაწილეები და მათი ურთიერთობები	57
11.1. ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ჰორიზონტალური კავშირები	57
11.2. ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ვერტიკალური კავშირები	58
12. აჭარაში მანდარინის სექტორის „SWOT“ ანალიზი	60

13. დასაქმებისა და შემოსავლების გენერირების პოტენციური მანდარინის სექტორში.....	61
13.1. დასაქმების პერსპექტივები	61
13.2. შემოსავლების გენერირება	61
14. დისკუსია და რეკომენდაციები	62
14.1. მანდარინის სექტორის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები	62
14.1.1. წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორები.....	62
14.1.2. მოსავლის აღების შემდგომი სამუშაოების ხელისშემშლელი ფაქტორები.....	63
14.1.3. გასაღების ხელისშემშლელი ფაქტორები.....	63
14.2. რეკომენდაციები.....	64
ბიბლიოგრაფია	67
დანართები.....	68
დანართი 1. პროდუქტის შერჩევა.....	68
დანართი 2. ჩატარებული ფოკუს ჯგუფები	69
დანართი 3. ჩატარებული ინტერვიუები.....	71
დანართი 4. საექსპორტოდ საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი	72
დანართი 5. ეკონომიკური გაანგარიშებები ფერმის ტიპის მიხედვით	73
დანართი 6. ეკონომიკური გაანგარიშებები ახალი ნახევრად-ინტენსიური ბადის გაშენების შემთხვევაში.....	78
დანართი 7. ევროკავშირის მოთხოვნები მანდარინის იმპორტზე.	79

გრაფიკები

გრაფიკი 1: მანდარინის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული (2010-2016 წლების საშუალო).	16
გრაფიკი 2: მანდარინის წარმოების მოცულობა მსოფლიოში (1961-2016 წლებში).....	16
გრაფიკი 3: მსოფლიოში მანდარინის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე ტონებში (1961- 2016 წლებში)	17
გრაფიკი 4: ქვეყნები მანდარინის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე (2016 წელი)..	18
გრაფიკი 5: მანდარინის წარმოება საქართველოში (1992-2016 წწ.)	19
გრაფიკი 6: ციტრუსის წარმოება რეგიონების კრილში.....	20
გრაფიკი 7: საქართველოდან მანდარინის ექსპორტი 2001-2017 წლებში.....	27
გრაფიკი 8: ქართული მანდარინის საექსპორტო ქვეყნები	28
გრაფიკი 9: ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტი.....	29
გრაფიკი 10: ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტიორი ქვეყნები	30
გრაფიკი 11: მანდარინის იმპორტი საქართველოში (2001-2017)	31
გრაფიკი 12: საქართველოში მანდარინის იმპორტიორი ქვეყნები.....	32
გრაფიკი 13: მანდარინის საცალო ფასები საქართველოში	48
გრაფიკი 14: ქართული მანდარინის საცალო vs. საბითუმო ფასები აჭარაში	48
გრაფიკი 15: დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე (ექსპორტის შემთხვევაში) 51	

გრაფიკი 16: მანდარინის მწარმოებლის ფასი	54
---	----

ცხრილები

ცხრილი 1: მანდარინის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2016 წელს (ღირებულების მიხედვით)	18
ცხრილი 2: საქართველოს მანდარინის სექტორი	21
ცხრილი 3: აჭარის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	23
ცხრილი 4: მანდარინი აჭარაში	24
ცხრილი 5: სახელმწიფოს აგროდაზღვევის პროექტი: მანდარინისათვის	43
ცხრილი 6: მარჟინალური მოგების შედარება სხვადასხვა ტიპის მანდარინის ფერმებს შორის.....	46
ცხრილი 7: ევროკავშირში ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები და მათი მახასიათებლები.....	53
ცხრილი 8: კავშირები ჰორიზონტალურ დონეზე ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა შორის.....	57
ცხრილი 9: კავშირები ვერტიკალურ დონეზე ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა შორის	58
ცხრილი 10: აჭარაში მანდარინის სექტორის „SWOT“ ანალიზი	60
ცხრილი 11: პროდუქტის შერჩევა: პირველი ეტაპის შედეგები	68
ცხრილი 12: პროდუქტის შერჩევა: მეორე ეტაპის შედეგები.....	69
ცხრილი 13: ევროკავშირში მანდარინის დაბეგვრის რეჟიმები	79
ცხრილი 14: ევროკავშირის მინიმალური მოთხოვნები ხარისხზე	80
ცხრილი 15: ევროკავშირში ხარისხის მოთხოვნები.....	80
ცხრილი 16: ევროკავშირში იმპორტირებული ციტრუსის დიამეტრის მინიმალური ზომა	81
ცხრილი 17: მანდარინის კლასიფიკაცია ზომის კოდის მიხედვით.....	82

დიაგრამები

დიაგრამა 1: მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)	35
დიაგრამა 2: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე მოხმარებისთვის.....	49
დიაგრამა 3: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის ექსპორტი ხორციელდება რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში.....	50
დიაგრამა 4: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის ექსპორტი ხორციელდება პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში.....	55

რუკები

რუკა 1: მანდარინის მწარმოებელი ქვეყნები.....	15
რუკა 2: საქართველო (წითლად გაფერადებულია აჭარის რეგიონი)	22

აბრევიატურები და აკრონიმები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი
აჭარის ა/რ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსო	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
ღჯა	ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება
EU	ევროკავშირი
ENPARD	ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის
EPI	ეკონომიკური განვითარების ინიციატივა
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FAOSTAT	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
UNDP	გაერთიანებული ერების (გაერო) განვითარების პროგრამა
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება

კვლევაში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველას ვინც დრო დახარჯა ჩვენთან შეხვედრასა და გასაუბრებაზე. მათ შორის აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფერმერებს, კოოპერატივებს, შემგროვებელ და გადამამუშავებელ კომპანიებს, ექსპორტიორებს, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებებს.

1. შემაჯამებელი მიმოხილვა

აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოებას (როგორც პირველადი სახით, ასევე გადამამუშავებული) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში (მშპ-ს დაახლოებით 14-16%). სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონების განვითარებისათვის, სადაც ითვლება რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული და ბევრი ოჯახისათვის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საექსპორტო პროდუქციაში, აგრო-სასურსათო პროდუქციას საკმაოდ მაღალი წილი უჭირავს (დაახლოებით 30%), და სწორედ ის წარმოადგენს ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტის დიდ ნაწილს.

მართალია აჭარისათვის სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, თუმცა იგი მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით ციტრუსოვანი კულტურების წარმოების კუთხით, რადგან აჭარა არის წამყვანი რეგიონი ამ კუთხით, რომელიც ამარაგებს შიდა ბაზარს და მეტიც, აქ წარმოებული ციტრუსის უმეტესი ნაწილი გადის ექსპორტზე. ამ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონში მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ციტრუსოვანი კულტურებიდან მანდარინზე მოდის აჭარის (ისევე როგორც მთლიანი საქართველოს) ციტრუსოვანი კულტურების 90%-ზე მეტი.

დღეს აჭარაში მდებარე მეურნეობების ნახევარზე მეტი (54%, ჯამში 24 ათასი მეურნეობა) ფლობს მანდარინის მცირე პლანტაციას, საშუალოდ 0.2 ჰექტარ მიწაზე, რომელზეც 2 ტონამდე მანდარინის მოსავალს იღებენ ყოველწლიურად. ასეთი ოჯახებისათვის მართალია მანდარინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ წარმოადგენს შემოსავლის მთავარ წყაროს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლების გენერირებაში, განსაკუთრებით კი წინასაახალწლო პერიოდში.

ფერმერების გარდა, რეგიონში მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ რგოლებს წარმოადგენენ: შემგროვებლები, კონსოლიდაციის ცენტრები, ექსპორტიორები, გადამამუშავებელი კომპანიები და სხვ. ფერმერიდან საბოლოო მომხმარებლამდე მანდარინის მიწოდების ჯაჭვში იქმნება 2-3-ჯერ მეტი დამატებული ღირებულება, რომელიც უმეტესწილად არათანაბრად ნაწილდება ღირებულებათა ჯაჭვის მოთამაშეებს შორის. ნაკლებია ფერმერებს შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა, ასევე ნაკლებად არსებობს ვერტიკალურად ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი ან კონტრაქტებზე დაფუძნებული ურთიერთობები. ამდენად, კავშირები ღირებულებათა ჯაჭვის როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ღერძზე არასათანადოდ არის განვითარებული.

დიდია სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების როლი მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში. რამდენადაც მანდარინი გახლავთ აჭარის სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურა, ყოველწლიურად უამრავი პროგრამა და პროექტი იყო და არის მიმართული ამ დარგის განვითარებისაკენ (ჩაბარების ფასის სუბსიდირების ჩათვლით). შედეგად, ცალკეული ძვრები სახეზეა, თუმცა დარგის სწრაფი მოდერნიზაციისათვის საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა.

მანდარინი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ აგრო-სასურსათო პროდუქტს, რომელიც ექსპორტზე გაედინება და ყოველწლიურად შემოსავლები მოაქვს საქართველოს ეკონომიკისათვის. მიუხედავად ამისა, დარგში არსებობს უამრავი გამოწვევა, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომებს ამ დარგის ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლში, იმისათვის რათა დარგმა უპასუხოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამოწვევებს და კონკურენტუნარიანი გახდეს ისეთი მაღალი ღირებულების ბაზრებზე, როგორც ევროკავშირია (განსაკუთრებით DCFTA-ს ფარგლებში).

აჭარის მანდარინის პლანტაციების დიდი ნაწილი (დაახლოებით 40%) გადაბერებულია ან დაავადებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას. ფერმერების მხრიდან სათანადო ცოდნის არქონისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომლობის ნაკლებობის გამო, არ ხდება სრული აგროტექნოლოგიური ციკლის დაცვა, რაც იწვევს საჰექტარო მოსავლიანობის დაბალ დონეს (დაახლოებით 10 ტ.) და ასევე მიღებულ მოსავალში არასტანდარტული მანდარინის მაღალ მაჩვენებელს (დაახლოებით 20%). რეგიონში ძალიან მცირეა მანდარინის საადრეო ჯიშები, რაც მოსავლის აღების სეზონის გახანგრძლივებას და შესაბამისად უფრო მაღალ ფასსა და შემოსავლების მიღებას ვერ უზრუნველყოფს.

არსებული შემგროვებელი პუნქტები და სამაცივრეები, ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი და მათი ხარისხიც ჩამოუვარდება თანამედროვე სტანდარტებს, რომლებიც მანდარინის მწარმოებელ წამყვან ქვეყნებშია განვითარებული (მაგ: ესპანეთი, მაროკო, თურქეთი). ამასთანავე, ქართული მანდარინის საექსპორტო ბაზრები ნაკლებად დივერსიფიცირებულია და მაღალი რისკის შემცველ ბაზრებზე მოდის მთლიანი ექსპორტის 90%-ზე მეტი (რუსეთი და უკრაინა). ტრადიციული ბაზრების გარდა, ვერ ხერხდება ახალი, უფრო სტაბილური და მაღალმსყიდველობითუნარიანი ბაზრების ათვისება.

ამ ყველაფრის ფონზე, რთულდება ევროკავშირის ბაზრის ათვისება. გასულ წელს მხოლოდ სატესტო რაოდენობის მანდარინი გავიდა ევროკავშირის ორ ქვეყანაში, 20 ტონა პოლონეთში და 3 ტონა ლიტვაში. აღსანიშნავია ის, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოხმარებული მანდარინის ჯიში (კლემენტინი) განსხვავდება იმ ჯიშისგან რაც გავრცელებულია საქართველოში (საცუმა), კერძოდ კი ევროპელი მომხმარებელი მიჩვეულია შედარებით უფრო ტკბილი გემოს მქონე მანდარინს, მაშინ როცა ქართული მანდარინს შედარებით უფრო მომჟავო გემო დაკრავს. მეორეს მხრივ, ქართულ მანდარინში ნაკლები შაქრის შემცველობა, შესაძლოა უფრო მიმზიდველი გახდეს ევროპელი მომხმარებლისათვის, თუმცა ამას მთელი რიგი ღონისძიებების გატარება დაჭირდება, სანამ მოხდება ევროპელი მომხმარებლის დარწმუნება და გემოვნების ცვლილება.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს მანდარინის ახალი ჯიშების გამოცდა. მათგან რამდენიმეზე უკვე გაიკა რეკომენდაცია და სამინისტროს შესაბამისი პროგრამაც არსებობს, რომელიც ფერმერებს ეხმარება გადაბერებული მანდარინის ხეები ახალი ნერგებით ჩანაცვლონ (მათ შორის საადრეო ჯიშებით). სამწუხაროდ, ყოველწლიურად წარმოებული ასეთი ნერგების რაოდენობა შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს პლანტაციების მასიურ განახლებას. მეორეს მხრივ, არც ფერმერები იჩენენ დიდ ინტერესს (მათ შორის ახალგაზრდების დაინტერესება კრიტიკულად

დაბალია), რომ განაახლონ პლანტაციები და მანდარინის პლანტაციების მოვლისას გამოიყენონ თანამედროვე მიდგომები.

მაშასადამე, საქართველოს მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლში [წარმოება, წარმოების შემდგომი სამუშაოები (დახარისხება, შენახვა, შეფუთვა, ეტიკეტირება და ა.შ.)] არსებული გამოწვევების ფონზე, რთულდება ამოცანა, რომ მოკლევადიან პერიოდში ქართული მანდარინის ექსპორტის მკვეთრი ზრდა მოხდეს ევროკავშირის ბაზარზე. თუმცა თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმით, შესაძლებელია საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ევროპულ ბაზარზე ქართული მანდარინის საექსპორტო პოტენციალის რეალიზება.



2. კვლევის მიზანი

პროექტის მიზნიდან გამომდინარე, კვლევა იყო საპილოტე და ითვალისწინებდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის აგრო-სასურსათო სექტორის შესწავლისათვის თანამედროვე კვლევითი მეთოდების გაცნობას, რათა მომავალში მათ დამოუკიდებლად განახორციელონ მსგავსი კვლევა და ხელი შეუწყონ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის უკეთ გამოყენებას, კერძოდ კი DCFTA-ს შესახებ ინფორმაციით უზრუნველყონ ყველა დაინტერესებული მხარე.

კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს აჭარის რეგიონისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის - მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი (ღჯა), რათა განისაზღვროს თუ რა პოტენციალი გააჩნია მანდარინის წარმოება-გადამუშავების ინდუსტრიას საქართველოში, განსაკუთრებით კი ევროკავშირში საექსპორტო თვალსაზრისით.

კვლევის მიზანია რომ მოახდინოს მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა, მანდარინის წარმოებიდან მის საბოლოო მომხმარებლამდე, გზაზე კი გამოკვეთოს ის შეზღუდვები და უპირატესობები რაც მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვს გააჩნია. საბოლოოდ კი მათზე დაყრდნობით შეიმუშავოს რეკომენდაციები დარგის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ როგორც ასეთი სრულყოფილი ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი (ღჯა) საქართველოს მანდარინის სექტორზე აქამდე არ ჩატარებულა, და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები კარგი გზამკვლევი იქნება ამ დარგით დაინტერესებული ყველა მხარისათვის, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და მასში ჩართული მხარეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1. პროდუქტის შერჩევა

აგრო-სასურსათო პროდუქტის შერჩევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროდუქტის შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კრიტერიუმები. ღირებულებათა ჯაჭვის ტრენინგების მიმდინარეობისას, მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პროდუქტთა სია, რომლიდანაც საბოლოოდ, საპილოტე კვლევის ჩასატარებლად, შეირჩა ერთი პროდუქტი. ეს კვლევა სამომავლოდ საფუძვლად უნდა დაედოს სსო-ების მიერ დამოუკიდებლად, სხვადასხვა პროდუქტებზე, ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ჩატარებას.

ტრენინგის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი სავარაუდო პროდუქტთა სიის შეჯერების შემდეგ, განხილვაზე მოწვეულ იყვნენ აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობაში ჩართული სხვადასხვა მხარეები, მათ შორის ფერმერები, კოოპერატივის წარმომადგენლები, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი საქვეუწყებო დაწესებულებები, ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრისა და ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის წარმომადგენლები, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მერსი ქორფსის (Mercy Corps) რეგიონული წარმომადგენლები, თვითონ სსო-ს წარმომადგენლები და სხვ. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა იმ აგრო-სასურსათო პროდუქტთა სია, რომელთა შესახებ აღნიშნული კვლევის ჩატარება დამსწრე საზოგადოების აზრით მნიშვნელოვანი იქნებოდა რეგიონისათვის, ესენია: მოცვი, ნიორი, მანდარინი, დაფნა, ხურმა, კივი, მეფრინველეობის პროდუქტები, ჩირი და კარტოფილი.

შეხვედრის დასრულების შემდგომ, სსო-ს წარმომადგენლებმა განიხილეს და ჩამოაყალიბეს ის კრიტერიუმები და შესაბამისი კოეფიციენტები (კრიტერიუმის წონები), რომლითაც უნდა მომხდარიყო საბოლოოდ ერთი პროდუქტის ან ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევა. საბოლოოდ, საკვლევ პროდუქტად შეირჩა მანდარინი (შერჩევის დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ დანართი 1-ში).

3.2. საოფისე სამუშაოები

აღნიშნული კვლევა დაფუძნებულია საველე და საოფისე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზზე. კერძოდ, საოფისე სამუშაოებით მოხდა უკვე არსებული მონაცემების ანალიზი, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის პუბლიკაციების შესწავლა-დამუშავებას, მათ შორის სტატისტიკური მონაცემები და პუბლიკაციები. ასევე, შესწავლილ იქნა მანდარინის შესახებ არსებული თანამედროვე ლიტერატურა, სტატისტიკური რეპორტები და სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტები.

3.3. საველე სამუშაოები

საველე სამუშაოების უმეტესი ნაწილი აჭარის რეგიონში ჩატარდა ოქტომბერ-დეკემბერში (2017). ამ პერიოდის განმავლობაში მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი და პირისპირ ინტერვიუს სახით გამოიკითხა 25 რესპოდენტი.

ფოკუს-ჯგუფები

პირველი, საპილოტე ფოკუს-ჯგუფის ჩატარდა შერეულ ჯგუფში, სადაც შედგა დარგის მდგომარეობის მიმოხილვა და გაკეთდა მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის პირველადი მონახაზი. ამის შემდგომ დაიხვეწა ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევი, რომელიც გამოყენებულ იქნა შემდგომ ფოკუს-ჯგუფებში.

ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა თითო-თითო განხილვა ფოკუს-ჯგუფში, სადაც ფერმერებმა მიმოხილეს დარგის მიმდინარე მდგომარეობა, უპირატესობები და გამოწვევები. თითოეულ ფოკუს-ჯგუფს ესწრებოდა საშუალოდ 7 ფერმერი, რომლებიც შერჩეულ იქნენ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა მანდარინის პლანტაციის ზომა, პლანტაციის ადგილმდებარეობა, გენდერი და სხვ. ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა ასევე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომელსაც 7 ადამიანი ესწრებოდა. დეტალური მონაცემები ყველა ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შესახებ იხილეთ დანართი 2-ში.

ინტერვიუები

ფოკუს ჯგუფის გარდა, რეგიონში ჩატარდა 25 პირისპირ ინტერვიუ, წინასწარ შემუშავებული ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. ინტერვიუებით გამოიკითხა მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა წარმომადგენელი, როგორცაა შხამ-ქიმიკატებისა და ნერგების მომწოდებელი, ფერმერი, სამაცივრე-საწყობის ოპერატორი, გადამამუშავებელი, შემგროვებელი, ექსპორტიორი, ექსპერტი, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. ამასთანავე, ჯგუფური ვიზიტი მოეწყო ქობულეთში მდებარე მანდარინის ექსპორტიორ და გადამამუშავებელ ქარხანაში; სექტემბრის ბოლოს ბათუმში გამართულ ციტრუსის ფორუმს დაესწრო ორი მკვლევარი; ასევე, რამდენიმე შეხვედრა მოეწყო აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან. დეტალური მონაცემები ყველა ჩატარებული ინტერვიუს შესახებ იხილეთ დანართი 3-ში.

საველე სამუშაოები ჩატარდა PMC კვლევითი ცენტრის წარმომადგენლების ზედამხედველობით და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (სსო) და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

ჩატარებული საველე და საოფისე სამუშაოების შედეგად, მოხდა მიღებული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზება და საბოლოო ანგარიშში შემდეგი საკითხების ასახვა:

- ჩატარდა მანდარინის სექტორის ბაზრის კვლევა და შეფასდა დარგის მდგომარეობა საქართველოსა და მსოფლიოში, როგორც წარმოების, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით;
- შეფასდა საქართველოს მანდარინის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
- აისახა მანდარინის ღირებულება ჯაჭვის მთლიანი რგოლი, მათ შორის უშუალოდ მონაწილეები და გარე ფაქტორები;
- აღიწერა მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ურთიერთკავშირი ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში;
- შეფასდა დამატებული ღირებულებები ჯაჭვის თითოეულ რგოლზე, როგორც მანდარინის შიდა ბაზრისათვის, ისე ექსპორტზე გატანის შემთხვევაში;
- ჩატარდა ეკონომიკური გაანგარიშებები სხვადასხვა ტიპის ფერმების შემთხვევაში;

- შესწავლილ იქნა ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები და ამ ბაზარზე ქართული მანდარინის პოტენციალი;
- გამოიკვეთა დარგის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

4. კვლევის შეზღუდვები

კვლევა იყო საპილოტე და მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (სსო) და LAG-ების წარმომადგენლების მიერ მის ჩატარებას. სსო-სა და LAG-ების წარმომადგენლებს მსგავსი კვლევების ჩატარების მცირე გამოცდილება აქვთ, თუმცა მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დოკუმენტის შემუშავებაში. ასევე, შეზღუდული რესურსების გამო, ვერ მოხერხდა მასშტაბური კვლევის ჩატარება, თუმცა ანალიზისა და დასკვნების გამოტანისათვის ჩატარდა საკმარისი რაოდენობის შეხვედრა-ინტერვიუები და დამუშავდა დიდი რაოდენობით მასალა.

არსებული სტატისტიკა ციტრუსის (მანდარინის) პლანტაციების მესაკუთრე მეურნეობების რაოდენობის, ფართობებისა და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის შესახებ შესწავლილ სხვადასხვა წყაროებში (FAOSTAT, საქსტატი და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ოპერატიული მონაცემები), ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და მეტიც, დიდი განსხვავება არსებობს მათ შორის. რიგ შემთხვევებში ჩვენ დავეყრდნით ადგილობრივ წყაროებს (საქსტატი და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები), რადგან კვლევამ გამოავლინა, რომ იგი უფრო ზუსტია სხვა წყაროსთან შედარებით.


მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს კვლევა არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, რომ საკმაოდ სრულყოფილად აღიწეროს და დოკუმენტად იქნას წარმოდგენილი საქართველოს მანდარინის სექტორი. რეკომენდირებულია უფრო დეტალური კვლევის ჩატარება კონკრეტული საკითხის თუ ღირებულებათა ჯაჭვის კონკრეტული რგოლის უფრო ღრმად შესწავლისათვის.

5. სექტორის მოკლე მიმოხილვა

5.1. მანდარინის წარმოება მსოფლიოში

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში მანდარინს¹ აწარმოებდა 70-ზე მეტი ქვეყანა. 2016 წელს 2.6 მილიონი ჰექტარი მანდარინის პლანტაციიდან მსოფლიოში დაახლოებით 32.8 მილიონი ტონა მანდარინი იქნა წარმოებული, რომელიც კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: აზია 22.2 მილიონი ტონა, ევროპა 3.9 მილიონი ტონა, ამერიკა 3.9 მილიონი ტონა, აფრიკა 2.7 მილიონი ტონა, ხოლო მცირე ნაწილი დაახლოებით 0.1 მილიონი ტონა ავსტრალიასა და ოკეანეთში იწარმოა.

რუკა 1: მანდარინის მწარმოებელი ქვეყნები.



წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

მანდარინის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული კი შემდეგნაირად გამოიყურება (გრაფიკი 1).

¹ მანდარინთან ერთად ამ კატეგორიაში გადის თანჯერინი, კლემენტინი და საცუმა.


გრაფიკი 1: მანდარინის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული (2010-2016 წლების საშუალო).



წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

მსოფლიოში მანდარინის წარმოების მოცულობის დინამიკა მართალია ცვალებადია წლების მიხედვით, თუმცა საგრძნობლად მზარდია და თუ 1960-იან წლებში მხოლოდ 3-4 მილიონი ტონა იწარმოებოდა, დღეს ეს მაჩვენებელი 30 მილიონ ტონაზე მეტია (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: მანდარინის წარმოების მოცულობა მსოფლიოში (1961-2016 წლებში)




წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

მანდარინის წარმოება მსოფლიოში ბოლო წლებში საკმაოდ მზარდია, თუმცა 2006 წელს ჯერ გვალვებმა, ხოლო შემდეგ ყინვებმა მანდარინის მოსავალს დიდი ზიანი მიაყენა.

შედეგად 2007 წელს მსოფლიოში მანდარინის მოსავალი წინა წელთან შედარებით 22%-ით შემცირდა, თუმცა შემდგომ წლებში კვლავ გააგრძელა ზრდადობის ტენდენცია.

მაშინ როდესაც მანდარინის პლანტაციების რაოდენობა 1961 წლიდან 2016 წლამდე 7.6-ჯერ გაიზარდა (0.34 მილიონი ჰექტრიდან 2.6 მილიონ ჰექტრამდე), წარმოების მოცულობა ამავე პერიოდში 11.6-ჯერ გაიზარდა (2.8 მილიონი ტონიდან 32.8 მილიონ ტონამდე). რაც მიანიშნებს, რომ ამ პერიოდში საჰექტარო მოსავლიანობა მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა, თუმცა საუკეთესო მაჩვენებელი 1970-იანი წლების ბოლოს დაფიქსირდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი ბოლო წლებში საკმაოდ მერყევია და 1 ჰექტარზე დაახლოებით 12 ტონის ფარგლებში მერყეობს (გრაფიკი 3).


გრაფიკი 3: მსოფლიოში მანდარინის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე ტონებში (1961-2016 წლებში)



წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს ბევრად აღემატება იმ ქვეყნების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, რომლებიც ლიდერობენ ამ კომპონენტში - მათი მოსავლიანობა აღემატება 24 ტონას ერთ ჰექტარზე (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: ქვეყნები მანდარინის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე (2016 წელი).



წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

5.2. მანდარინით ვაჭრობა მსოფლიოში

2016 წელს მსოფლიოში მანდარინით ვაჭრობამ დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა (5.1 მილიონი ტონა მანდარინი).

ცხრილი 1: მანდარინის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2016 წელს (ღირებულების მიხედვით)

ექსპორტიორი ქვეყნები	იმპორტიორი ქვეყნები
ესპანეთი	რუსეთი
ჩინეთი	გერმანია
თურქეთი	საფრანგეთი
მაროკო	გაერთიანებული სამეფო
სამხრეთ აფრიკა	აშშ

წყარო: ITC – Trade Map (20.03.2018)

2016 წელს მანდარინის მთავარი ხუთი ექსპორტიორი ქვეყნების წილად მოდიოდა მანდარინით მთლიანი ვაჭრობის ღირებულების 71%. რაც შეეხება მანდარინის მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს, ძირითადი ხუთი ქვეყნის წილმა მთლიანი მანდარინის იმპორტში 2016 წელს 48% შეადგინა.


მანდარინის ცოცხალი ნაყოფის გარდა, ხდება მისი გადამუშავება და ასეთი სახით როგორც შიდა ბაზარზე მიწოდება, ასევე საერთაშორისო ვაჭრობა. მანდარინის კონცენტრატის საექსპორტო ღირებულება მსოფლიოში ბოლო წლებში 500-600 მილიონ დოლარს აღწევს, რაშიც მოწინავე ქვეყნებია: არგენტინა, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი და მექსიკა. ხოლო გადამუშავებული სახით მანდარინის კონცენტრატის მოწინავე იმპორტიორი ქვეყნები კი გახლავთ: აშშ, ნიდერლანდები, გერმანია, იაპონია და საფრანგეთი.

5.3. მანდარინის წარმოება საქართველოში

FAOSTAT-ის 2016 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოს მანდარინის მწარმოებელ 73 ქვეყანას შორის წარმოების მოცულობის მიხედვით 30-ე ადგილზეა. საქართველოში მანდარინი მე-19 საუკუნის ბოლოს ჯერ იტალიიდან და შემდგომ უკვე იაპონიიდან შემოუტანიათ², რაც მალე გავრცელებულა დასავლეთ საქართველოში. მანდარინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე.

დღეს საქართველოში მანდარინის წარმოება საკმაოდ ცვალებადია, რაც ძირითადად კლიმატურ პირობებთან ერთად მეწლეურობაზეც არის დამოკიდებული (გრაფიკი 5). აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველ მეორე წელს კარგი/ცუდი მოსავალია. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში 60 ათასი ტონა მანდარინი იწარმოა, ხოლო ბოლო წლების რეკორდული მაჩვენებელი 2005 წელს დაფიქსირდა, როცა 113.4 ათას ტონა მანდარინის წარმოება მოხდა ქვეყანაში.

გრაფიკი 5: მანდარინის წარმოება საქართველოში (1992-2016 წწ.)




წყარო: FAOSTAT (20.03.2018)

საქართველოში ციტრუსის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია: აჭარა, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო და მცირე რაოდენობით ფიქსირდება იმერეთში (გრაფიკი 6). ქვეყანაში ციტრუსის დაახლოებით 70% იწარმოება აჭარაში. საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების უმეტესი ნაწილი მანდარინზე მოდის (დაახლოებით 92%).

² ლეკვეიშვილი ი., ციტრუსოვანი წარმოების მეცნიერული საფუძვლები, ნაწ., 1, თბ., 1978;

გრაფიკი 6: ციტრუსის წარმოება რეგიონების ჭრილში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *აფხაზეთის მონაცემები არ მოიპოვება.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, ქვეყანაში 37 400 მეურნეობას აქვს ციტრუსის პლანტაცია. აქედან უმეტესობა ფლობს 1 ჰექტრამდე ციტრუსის ბაღს, ხოლო 3 ჰექტარზე მეტი პლანტაცია მხოლოდ 16 მეურნეობას გააჩნია. ყველაზე გავრცელებული ფართობი სადაც ციტრუსია გაშენებული არის 0.10-დან 0.49-მდე ჰექტარი, რომელიც ციტრუსის პლანტაციის მფლობელი მეურნეობების 74%-ს გააჩნია.

რაც შეეხება უშუალოდ მანდარინის პლანტაციებს, საშუალო მეურნეობის მახასიათებლებია: პლანტაციის სიდიდე 0.18 ჰექტარი, რომელზეც 120 ძირი მანდარინის ხეა გაშენებული. ხოლო ამ ფართობზე მოყვანილი მანდარინის საშუალო მოსავალი არის 1.8 ტონა. ქვემოთ მოცემულ ცხრილ 2-ში შეჯამებულია ის ძირითადი მახასიათებლები რაც საქართველოს მანდარინის სექტორს ახასიათებს.

ცხრილი 2: საქართველოს მანდარინის სექტორი

საქართველოს მანდარინის სექტორი 2014 წლის მდგომარეობით									
ადგილმდებარეობა	მანდარინის პლანტაციები	მანდარინის ძირები პლანტაციებში		მეურნეობები პლანტაციაში მდგომი ძირებით	საშუალო მანდარინის მეურნეობა		მანდარინის წარმოება		
	ჰა (სულ)	ძირი (სულ)	ძირი/ჰა	მეურნეობების რაოდენობა	ჰა	ძირი	ტონა (სულ)	ტონა/ჰა	კგ/ხე
საქართველო	6 766	4 398 400	650	36 639	0.18	120	65 612	9.7	15
აჭარის არ	4 494	3 143 500	656	24 142	0.20	130	46 060	9.6	15
გურია	1 564	985 600	630	8 346	0.19	120	15 980	10.2	16
იმერეთი	21	15 400	730	239	0.10	66	188	8.9	12
სამეგრელო-ზემო სვანეთი	375	245 000	654	3 892	0.10	63	3 384	9.0	14

წყარო: ავტორების გაანგარიშება საქსტატის მიერ 2014 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილიდან ირკვევა, რომ 2014 წლის მდგომარეობით ქვეყანაში მანდარინის პლანტაციებს ეკავა 6 766 ჰექტარი, რომლის უმეტესობა (71.5%) მოდიოდა აჭარაზე, შემდგომ მოდის გურია (22.4%), სამეგრელო (5.6%) და იმერეთი (0.5%). ამ ფართობზე საქართველოში დარგულია დაახლოებით 4.4 მილიონი მანდარინის ხე, რაც საშუალოდ ჰექტარზე გამოდის 650 ძირი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით თუ გამოვიანგარიშებთ, ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გახლავთ დაახლოებით 10 ტონა მანდარინი, რაც ერთ ძირზე გადაანგარიშებით შეადგენს 15 კილოგრამ მანდარინს (საშუალოდ 250 ცალი მანდარინის ნაყოფი³).

³ მანდარინის ერთი საშუალო ზომის ნაყოფის წონა არის 60 გრამი.

6. კვლევის არეალი: აჭარის რეგიონი

6.1. ზოგადი დახასიათება

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთიდან სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთიდან თურქეთის რესპუბლიკა, ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვა. აჭარის ფართობია 2900 კვ.კმ (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 4.1%), ხოლო მოსახლეობა 337 ათასი (მთლიანი მოსახლეობის 9%). რეგიონში ურბანიზაციის მაღალი დონე აღინიშნება, მოსახლეობის 55.4% (187,8 ათასი კაცი) ცხოვრობს ქალაქად (საქსტატი, 2016).

რუკა 2: საქართველო (წითლად გაფერადებულია აჭარის რეგიონი)



წყარო: ვიკიპედია.

აჭარის მთლიანი დამატებული ღირებულება 2016 წლის მიმდინარე ფასებში 2.5 მილიარდი ლარი იყო, რაც საქართველოს მშპ-ს 8.5%-ს შეადგენდა.

ცხრილი 3: აჭარის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)

დარგი	2011	2012	2013	2014	2015	2016
სოფლის მეურნეობა	94.8	118.5	133.8	134.7	142.1	134.5
მრეწველობა	129.8	131.0	152.3	159.3	170.5	204.0
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	60.8	58.7	62.2	62.9	65.7	62.8
მშენებლობა	142.6	200.0	223.9	316.0	323.9	341.5
ვაჭრობა; რემონტი	197.6	196.5	243.7	292.1	296.9	334.5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	110.4	114.5	122.4	153.3	185.0	126.3
სახელმწიფო მმართველობა	284.4	188.0	180.1	170.6	183.1	224.6
განათლება	109.0	115.8	120.0	143.4	152.4	162.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	147.6	121.7	120.6	150.3	168.0	215.8
მომსახურების სხვადასხვა სახეები	344.9	430.7	439.1	457.1	506.8	692.1
მთლიანი დამატებული ღირებულება, სულ	1,621.9	1,675.4	1,798.1	2,039.7	2,194.3	2,498.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, 2016 წლის მონაცემებით აჭარის რეგიონში წამყვანი დარგებია მომსახურების სფერო (27.7%), მშენებლობა (13.7%) და ვაჭრობა (13.4%). სოფლის მეურნეობის წილი აჭარის მთლიან დამატებულ ღირებულებაში 2016 წელს 5.4% იყო.

2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, აჭარაში ფიქსირდება დაახლოებით 45 ათასი მეურნეობა (საქართველოს 7%). აჭარა არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მცირემიწიანი რეგიონი (უსწრებს მხოლოდ რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს). მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 19.7 ათასი ჰექტარს (საქართველოს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის 2.5%), ხოლო ერთი სამეწარმეო სუბიექტის მფლობელობაში საშუალოდ 0.4 ჰექტარია, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (1.23 ჰექტარი) ბევრად ჩამოუვარდება. მიუხედავად ამისა, აჭარა წამყვანია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა ციტრუსოვანი კულტურებისა და კაკლის წარმოება. ასევე, რეგიონში გავრცელებულია სიმინდისა და კარტოფილის წარმოება. ამასთანავე, აჭარის მაღალმთიანეთი გამოირჩევა მეცხოველეობით, სადაც ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობას, მეკალმახეობას და მეფუტკრეობას მისდევენ. ბოლო წლების მიხედვით, აჭარის სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა სოფლის მეურნეობის შემდეგ მიმართულებებში: სასათბურე და სანერგე მეურნეობები, მტკნარი წყლის მეთევზეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში - ჩაი, თამბაქო, ხილი (მათ შორის თხილი) და ციტრუსი⁴.

აჭარის მეურნეობების ნახევარზე მეტი ფლობს მანდარინის პლანტაციას. მანდარინის წარმოებით კი აჭარაში ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები გამოირჩევა, სადაც მეურნეობების 75% მანდარინის პლანტაციას ფლობს, რომლის საშუალო ზომა არის

⁴ აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2016-2021:
<http://adjara.gov.ge/uploads/Docs/acdb5711834a4d0e86f1f4f04e46.pdf>

0.20 ჰექტარი, 130 ძირი მანდარინის ხით, რომელიც საშუალოდ ყოველწლიურად 1.9 ტონა მანდარინის მოსავალს იძლევა. საშუალო საჰექტარო მაჩვენებელზე გადაანგარიშებით გამოდის, რომ აჭარაში მანდარინის მოსავლიანობა არის 9.5 ტონა/ჰა, სადაც 660 ძირი მანდარინია გაშენებული და თითოეული ძირი საშუალოდ 15 კილოგრამ ნაყოფს იძლევა. დეტალური ინფორმაცია აჭარის მანდარინის სექტორის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 4: მანდარინი აჭარაში

მანდარინი აჭარის რეგიონში (2014 წლის მდგომარეობით)										
ადგილმდებარეობა	მეურნეობები	მანდარინის პლანტაციები	მანდარინის ძირები პლანტაციებში		მეურნეობები პლანტაციაში მდგომი ძირებით	მანდარინის საშუალო მეურნეობა		მანდარინის წარმოება		
	#	ჰა	ძირი	ძირი/ჰა	შინამეურნეობა	ჰა	ძირი	ტონა	ტონა/ჰა	კგ/ზე
საქართველო	642 209	6 766	4 398 400	650	36 639	0.18	120	65 612	9.7	15
აჭარის ა/რ	44 757	4 836	3 143 500	656	24 142	0.20	130	46 060	9.5	15
ქ. ბათუმი	6 541	583	379 200	627	4 131	0.14	92			
ქობულეთი	15 237	2 682	1 743 500	678	11 311	0.24	154			
ხელვაჩაური	10 836	1 569	1 020 000	631	8 684	0.18	117			

წყარო: ავტორების გაანგარიშება საქსტატის მიერ 2014 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

ფოტო 1: მანდარინის პლანტაცია აჭარაში.



ფოტო: მანანა ქარცივაძე

6.2. მანდარინის სახეობები და ჯიშები

დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მანდარინის კულტურის სამრეწველო მიზნით წარმოებისათვის. პრინციპული მნიშვნელობა აქვს რელიეფს, სადაც გაშენებულია მანდარინის ბაღები. არჩევენ ვაკე და მცირე დაქანების (0-5°), საშუალო დაქანების (5-2-0) და ძლიერი დაქანების ფერდობებს (ეს უკანასკნელი 20-30° არ უნდა აღემატებოდეს⁵). მანდარინის ბაღებისათვის საჭიროა თბილი ნაკვეთები, ზღვის დონიდან 350 მეტრ სიმაღლემდე. რაც შეეხება ნიადაგურ პირობებს, სასურველია ღრმა, ნემომპალა-კარბონატული, ჰუმუსით მდიდარი წითელმიწები, საშუალო და მსუბუქი შემადგენლობის კარბონატული ან ალუვიური ნიადაგები⁶.

მანდარინის ჯიშები განსხვავდება განვითარების სიძლიერითა და ხანგრძლივობით. რამდენადაც საქართველო არის მანდარინის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი, აქ უკეთესად ხარობს შედარებით უფრო ცინვაგამძლე ჯიშები. სწორედ ასეთი ჯიში „უნშიუ“ (უძლებს -10-12 გრადუს ცინვას) არის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული. იგი არის იაპონური ჯიში, რომლის ხეც იზრდება 4-5 მეტრი სიმაღლის, გამოირჩევა ფართო ოვალური ვარჯით. ნაყოფი აქვს საშუალოდან

⁵ <http://agronews.ge/mandarinis-movla-moqhvanis-intensiuri-teqნologia-rekomendatsia/>

⁶ <http://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/tsitrusi-mandarinis-movla-moqhvanis-thanamedrove-teqნologiebi.html>

მსხვილამდე (50-75 გ), უთესლო, გემო მომჟავო-მოტკბო, ხოლო ქიმიური შემადგენლობა შემდეგია: შაქრები: 6,17%; მჟავიანობა: 0,98%; და ვიტამინი “C”: 36-38%.

ამის გარდა საქართველოში გავრცელებული ჯიშებია: ქართული საადრეო, რომელიც „უნშიუს“ სომატური მუტანტია, რომელიც აღმოჩენილია ჩაქვში 1958 წელს. ხე შედარებით პატარაა (1,8-2,5 მ.), ძლიერი კომპაქტური ტოტებით. ნაყოფი არის მსხვილი (82-85 გ.), მომრგვალო, გემო არომატული მოტკბო-მომჟავო. „უნშიუსთან“ შედარებით მისი ნაყოფი 25 დღით ადრე მწიფდება. „კოვანო-ვასე“ იაპონური წარმოშობის ჯიშია, როგორც მანდარინ „უნშიუს“ კვირტული ვარიაცია, ხე იზრდება 2,0-2,5 მ. სიმაღლის, ხოლო ნაყოფი აქვს მსხვილი (75-90 გ.), მრგვალი, ოდნავ შებრტყელებული, მოტკბო-მომჟავო გემოსი. ნაყოფი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში⁷.

საადრეო ჯიშებიდან ასევე ცნობილია: მიაგავა-ვასე, ოკიცე-ვასე, მიხო-ვასე, ტიახარა უნშიუ და სხვ. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში, რომელიც 2012 წელს გაშენდა, წარმოდგენილია 28 ჯიშის მანდარინი⁸. ამ ჯიშებიდან ტიახარა უნშიუს ჯიშის გამრავლებაზე რეკომენდაცია უკვე გაიცა, რის შედეგადაც 2016 წელს 7 ჰექტარი გაშენდა. ეს პროცესი გრძელდება და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიური პროგრამების მეშვეობით ეხმარება ფერმერებს რომ მანდარინის ახალი პლანტაციები გააშენონ და გადაბერებული ხეები ჩაანაცვლონ ახლებით.

⁷ გაბრიჩიძე, ზ. (2015). ციტრუსების აგროტექნოლოგია. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. (http://srca.gov.ge/files/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf)

⁸ <http://agrosc.ge/greenhouse.php?id=2&lang=ge>

7. მანდარინის ექსპორტი-იმპორტი

მანდარინი გახლავთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტი, რამდენადაც იგი შედის მოწინავე საექსპორტო აგრო-სასურსათო პროდუქციის ათეულში. საექსპორტოდ გადის ე.წ. სტანდარტული მანდარინი, ხოლო არასტანდარტულის გადამუშავება ხდება ადგილობრივად, რომელიც კონცენტრატის სახით უმეტესწილად ასევე გაედინება ექსპორტზე (დეტალები იხილეთ ქვემოთ).

7.1. მანდარინის ექსპორტი საქართველოდან

ქვემოთ გრაფიკ 7-ზე მოცემულია მანდარინის საექსპორტო მონაცემები წლების მიხედვით 2001-2017 წწ., საიდანაც ჩანს, რომ ჯერ 2009-2010 წლებში ნახტომისებურად გაიზარდა მანდარინის ექსპორტი, ხოლო შემდგომ 2013 წელს. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში მანდარინის შედარებით მაღალი მოსავალი დაფიქსირდა საქართველოში. ასევე, პირველ შემთხვევაში გაზრდილი ექსპორტის უმეტესი წილი უკრაინაში გავიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნით. აჭარაში მოყვანილი მანდარინის ზუსტად რა წილი გადის ექსპორტზე, ამაზე ზუსტი მონაცემები არ არსებობს, ამიტომ შეგვიძია ვივარაუდოთ, რომ ექსპორტზე გასულ მანდარინის მთლიან მოცულობაში აჭარაში წარმოებული მანდარინის წილი მინიმუმ ემთხვევა აჭარის წილს საქართველოს მანდარინის მთლიან წარმოებაში, რომელიც 70%-ის ფარგლებში მერყეობს.

გრაფიკი 7: საქართველოდან მანდარინის ექსპორტი 2001-2017 წლებში




წყარო: საქსტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

ბოლო სამი წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად საშუალოდ 25 ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან, რაც დაახლოებით 11 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებას შეადგენდა⁹.

მანდარინისათვის ძირითადი საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, რომელთა შორისაც ლიდერობენ რუსეთი და უკრაინა, რომელზეც მოდის ბოლო სამი წლის საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით მანდარინის ექსპორტის 90%-ზე მეტი (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8: ქართული მანდარინის საექსპორტო ქვეყნები



წყარო: საქსტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

რაც შეეხება საექსპორტო მანდარინის ფასებს, დოლარებში გამოსახული ერთ ტონაზე ყველაზე მაღალი ფასი დაფიქსირდა 2014 წელს, როდესაც მიაღწია 576 აშშ დოლარს/ტონაზე. მას შემდგომ მცირედით შემცირდა, რაც უმეტესწილად გამოწვეული იყო დოლარის მიმართ ლარის დევალვაციით, რამდენადაც თუ ლარში გადავიყვანთ, იგივე მაჩვენებელი მზარდია. ბოლო სამი წლის მონაცემების საშუალო კი გახლავთ 438 აშშ დოლარი ერთ ტონა მანდარინზე. ყველაზე ძვირად ამ პერიოდში ქართული მანდარინი გავიდა ბელარუსში (545 \$/ტონა) და პოლონეთში (535 \$/ტონა), ყველაზე იაფად კი ყაზახეთსა (361 \$/ტონა) და უზბეკეთში (398 \$/ტონა). რაც შეეხება ყველაზე მსხვილ ბაზრებს, რუსეთში ექსპორტირებული ქართული მანდარინის ფასი გახლდათ 448 \$/ტონა, ხოლო უკრაინაში 409 \$/ტონა.


მანდარინის ექსპორტი საქართველოდან იწყება ოქტომბრის თვეში და „ნარინჯისფერი რთველის“ აქტიურ ფაზაში შესვლასთან ერთად იზრდება და პიკს აღწევს ნოემბერსა და დეკემბერში, რომელსაც იანვარი მოყვება, ხოლო თებერვალსა და მარტში მანდარინი უკვე მცირე რაოდენობითაა გაედინება ექსპორტზე.

⁹ გარდა ამისა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეფასებით, ყოველწლიურად დაახლოებით 8 ათასი ტონა მანდარინი მცირე მოცულობებით გადის აზერბაიჯანში, რაც არ ექვემდებარება საბაჟოზე რეგისტრაციას და შესაბამისად არ ხვდება ექსპორტის ოფიციალურ მონაცემებში.

მანდარინის კონცენტრატის ექსპორტი

მანდარინის ცოცხალი ნაყოფის გარდა, ქვეყანა ბოლო წლებში აქტიურად ახდენს მანდარინის კონცენტრატის¹⁰ ექსპორტს, რომელიც 2012 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ბოლო სამი წლის მონაცემებს თუ შევხედავთ, ქვეყანა საშუალოდ 700 ტონაზე მეტი¹¹ მანდარინის კონცენტრატის ექსპორტს ახორციელებს, რაც დაახლოებით ერთი მილიონი აშშ დოლარის ღირებულებას წარმოადგენს (გრაფიკი 9).

გრაფიკი 9: ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტი




წყარო: საქსტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

მანდარინის კონცენტრატის ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენენ საკმაოდ მაღალი ღირებულების მქონე ბაზრები, როგორცაა მაგალითად ისრაელი და იაპონია, რომელთაც ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტის 75% უკავიათ (გრაფიკი 10). საექსპორტო ქვეყნებში ასევე არიან საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, რუსეთი და უკრაინა. კონცენტრატის საშუალო ფასი ერთ ტონაზე დაახლოებით 1400-1500 აშშ დოლარს შორის მერყეობს.

¹⁰ მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამამუშავება ხდება კონცენტრატად.

¹¹ მანდარინის ნაყოფზე თუ გადავიყვანოთ, გამოვა რომ დაახლოებით 11 ათასი ტონა არასტანდარტული მანდარინისგან დამზადებული კონცენტრატი (საშუალოდ 732 ტონა კონცენტრატი) გავიდა საშუალოდ ყოველწლიურად 2015-2017 წლებში.

გრაფიკი 10: ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტიორი ქვეყნები



წყარო: საქსტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

რაც შეეხება მანდარინის კონცენტრატის მიწოდების პერიოდს, რამდენადაც მისი შენახვის ხანგრძლივობა შედარებით ხანგრძლივია (დაახლოებით 2 წელი ინახება სამაცივრე პირობებში) ვიდრე მანდარინის ნაყოფის, მისი საექსპორტო ბაზრებისათვის მიწოდება თითქმის მთელი წლის განმავლობაში ხდება.

ფოტო 2: მანდარინის კონცენტრატი ერთ-ერთ გადამამუშავებელ ქარხანაში. აჭარა




ფოტო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

7.2. მანდარინის იმპორტი საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა იმაზე ბევრად მეტ მანდარინს აწარმოებს ვიდრე მოიხმარს, საქართველოში მაინც შემოდის იმპორტირებული მანდარინი და ეს ხდება უმეტესწილად სწორედ იმ თვეებში როცა ადგილობრივი მანდარინი ჯერ არ არის მწიფე (სექტემბერი, ოქტომბერი), ანდა მაშინ როდესაც მისი მარაგები ამოწურულია (აპრილი, მაისი).

საქართველოში მანდარინის იმპორტი ბოლო პერიოდია რაც გააქტიურდა, რაც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც კარგად ჩანს (გრაფიკი 11). ბოლო წლებში დაახლოებით 1000-დან 2000 ტონამდე მანდარინის იმპორტირება ხდება ქვეყანაში, რომლის ღირებულებაც მერყეობს 500 ათასიდან 1.3 მილიონ აშშ დოლარამდე (გრაფიკი 11).

გრაფიკი 11: მანდარინის იმპორტი საქართველოში (2001-2017)



წყარო: საქსტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

მთავარ იმპორტიორ ქვეყნად კი გვევლინება მეზობელი თურქეთი, რომელიც ფლობს 90%-ზე მეტ წილს. დანარჩენ ქვეყნებს კი მცირე წილი უკავიათ (გრაფიკი 12).

გრაფიკი 12: საქართველოში მანდარინის იმპორტიორი ქვეყნები



წყარო: სასტატი და ITC (www.trademap.org) (30.03.2018)

რაც შეეხება იმპორტზე შემოსული მანდარინის საშუალო ფასს, ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განხვავებულია და ტონაზე საშუალოდ შეადგენს 630 აშშ დოლარს. თურქეთიდან იმპორტირებული მანდარინის საშუალო ფასი კი გახლავთ 600 \$/ტონა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვეების მიხედვით ფასი საკმაოდ განხვავებულია და მაისი-აგვისტოს თვეში სცდება 1000 \$/ტონა.

საქართველოში შემოდის ასევე მანდარინის კონცენტრატი, თუმცა მისი რაოდენობა და ღირებულება მინიმალურია და რამდენიმე ტონასა და ათას დოლარს არ აღემატება. მას ძირითადად გამოიყენებენ წვენების მწარმოებელი კომპანიები.

8. აჭარის რეგიონის მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვი

8.1. აჭარის მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა

აჭარაში წარმოებული მანდარინის მოსავალს, ძირითადად ყოფენ სამ ხარისხობრივ კატეგორიად - “სუპერი“, 1-ლი ხარისხი (ორივე გადის სტანდარტულის კატეგორიაში) და „ენესი“ (არასტანდარტული).

არასტანდარტული მანდარინი

არასტანდარტულ მანდარინს მიეკუთვნება მოსავლის ის ნაწილი, რომელიც 40-45 მმ.-ზე ნაკლები დიამეტრისაა ან/და მისი ზედაპირი დაზიანებულია. მთლიანი მოსავლიდან არასტანდარტული მანდარინის წილი წლიდან-წლამდე მერყეობს, რაც ძირითადად დამოკიდებულია ამინდზე და პლანტაციის მოვლის ხარისხზე. 2015-2017 წლებში ასეთი არასტანდარტული მანდარინის წილი განისაზღვრა საშუალოდ 17%-ით. ამ ხარისხის მანდარინზე უკვე წლებია სახელმწიფო გაცემს სუბსიდიას, იმ პირობით, რომ თუ გადამამუშავებელი კომპანია მინიმუმ 20 თეთრს გადაიხდის კილოგრამზე, აქედან 10 თეთრს უნაზღაურებს სახელმწიფო¹².

ბოლო წლებია მანდარინის გადამამუშავებაზე ძირითადად ორი კომპანია მუშაობს, ესენია: შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფი“ და შპს „TCF Georgia“. პირველი მათგანი დაახლოებით 2-3-ჯერ მეტის გადამამუშავებას ახდენს ყოველწლიურად მეორეზე. საშუალოდ კი ქვეყანაში დაახლოებით 11 ათასი ტონა მანდარინის გადამამუშავება ხდება ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. საშუალო ფასი რამდენადაც 20 თეთრია კილოგრამზე, გამოდის რომ ფერმერების შემოსავალი ასეთი მანდარინის ჩაბარებიდან დაახლოებით 2,2 მილიონი ლარია ყოველწლიურად, რომლის ნახევარსაც სახელმწიფო იხდის სუბსიდიის სახით, ხოლო მეორე ნახევარს გადამამუშავებელი კომპანია.

არასტანდარტული მანდარინისგან გადამამუშავებელი კომპანიები მანდარინის კონცენტრატს ამზადებენ. საშუალოდ 15 ტონა მანდარინისგან გამოდის 1 ტონა კონცენტრატი, რომელიც არის 60% შაქრის შემცველობის. 1 ლიტრი ასეთი კონცენტრატიდან კი გამოდის 5 ლიტრი წვენი. თუ ამას მანდარინის ნაყოფზე გადავიანგარიშებთ, გვექნება რომ 3 კილოგრამი არასტანდარტული მანდარინიდან ვიღებთ 1 ლიტრ მანდარინის წვენს. კონცენტრატის შენახვის ვადა სამაცივრე პირობებში გახლავთ 2 წელი.

გამოდის, რომ ყოველწლიურად საშუალოდ მინიმუმ 20% მანდარინის ნაყოფი ხვდება არასტანდარტულ კატეგორიაში, რაც მინიმუმ 2-ჯერ აღემატება მანდარინის მწარმოებელი ძირითადი ქვეყნების მონაცემებს¹³.

სტანდარტული მანდარინი

სტანდარტულ მანდარინს ორ ხარისხობრივ კატეგორიად ყოფენ, ე.წ. „სუპერი“, რომლის დიამეტრიც 55 მმ.-ზე მეტია და რომლის ზედაპირიც დაუზიანებელია. პირველი ხარისხის მანდარინად ითვლება 45 მმ-დან 55 მმ.-მდე დიამეტრის ნაყოფი, რომელსაც უმნიშვნელო დაზიანებები შეიძლება ქონდეს ზედაპირზე. სტანდარტული მანდარინის რეალიზაცია

¹² <http://adjara.gov.ge/Branches/description.aspx?gtid=608538&gid=4#.WsUEVohuZnl>

¹³ მაგალითად, თურქეთში არასტანდარტული მანდარინის წილი 8-10%-ს არ სცდება.

ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. თუ ხილი საექსპორტოდ უნდა გაიგზავნოს, ხდება მისი დაკალიბრება, პარაფინირება (თუმცა ყოველთვის არა), პლასტმასის, მუყაოსა და ე.წ. შპონის (ხის) ტარაში შეფუთვა და სხვადასხვა ტრანსპორტის საშუალებებით საექსპორტო ქვეყნებში გაგზავნა¹⁴.

როგორც კვლევამ აჩვენა, მანდარინის მოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი (დაახლოებით 1/3), შიდა ბაზარზე მოიხმარება. ეს უმეტესწილად არის სტანდარტული ხარისხის მანდარინი, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება არასტანდარტული მანდარინის შედარებით კარგი ნაწილის გადარჩევა და შიდა ბაზარზე ნაყოფის სახით გასაღება¹⁵.

ქვეყნის შიდა მოხმარებამ 2015-2017 წლების საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგინა დაახლოებით 10 400 ტონა მანდარინი¹⁶, საიდანაც 1 400 ტონა, ანუ მთლიანი მოხმარების 13.5% იყო იმპორტირებული მანდარინის წილი, დანარჩენი კი ქართული მანდარინი მოიხმარება.

ფოტო 3: სტანდარტული მანდარინი მზად არის ექსპორტისათვის. აჭარა



ფოტო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

¹⁴ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>


¹⁵ ასეთი მანდარინის დიამეტრი შესაძლოა იყოს 40 მმ.-ზე დაბალი, თუმცა ზედაპირი არ უნდა იყოს დაზიანებული.

¹⁶ 2015-2017 წლების საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, საშუალოდ 25 ათასი ტონა მანდარინი ნაყოფის სახით ოფიციალურად გავიდა ექსპორტზე. ამას ემატება, აზერბაიჯანში, სომხეთში და რუსეთში მცირე რაოდენობებით გადატანილი მანდარინი, რაც ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდება, თუმცა მანდარინის სექტორის მონაწილე მხარეების შეფასებით, ყოველწლიურად საშუალოდ 15 ათას ტონას შეადგენს. საშუალოდ 11 ათასი ტონა არასტანდარტული მანდარინის ნაყოფისგან დამზადებული კონცენტრატი დამზადდა და უმეტესობა საზღვარგარეთ გავიდა. თუ ამ პერიოდისათვის (2015-2017) ქვეყნის მანდარინის საშუალო წარმოებას (62 ათასი ტონა), გამოვაკლებთ გაფუჭებულ ნაყოფს, რომლის გამოყენებაც ვერ მოხდა (დაახლოებით 3%, ~2 ათასი ტონა), ასევე ექსპორტზე გასულ რაოდენობას (ზემოთ დასახელებული რიცხვების ჯამს 25+15+11=51 ათასი ტონა) და დავუმატებთ საშუალოდ 1.4 ათასი ტონა იმპორტირებულ მანდარინს, შიდა მოხმარება გამოდის დაახლოებით 10 ათასი ტონა მანდარინი საშუალოდ ყოველწლიურად (იმ დაშვებებზე დაყრდნობით რაც გვაქვს).

8.2. აჭარაში ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც შედგება შიდა და გარე ფაქტორებისაგან. ორივე მათგანი, ისევე როგორც მთლიანი ჯაჭვის ასახვა, დეტალურად არის განხილული ქვემოთ.

დიაგრამა 1: მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)



8.2.1. აჭარაში მანდარინის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი მონაწილეები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

ნედლეულის მიმწოდებლები

იმისათვის რათა მოხდეს მანდარინის მოყვანა, საჭიროა: შესაფერისი ნიადაგი, ნერგები, შხამ-ქიმიკატები, და კარგი ექსტენციის მომსახურება. განვიხილოთ თითოეული ცალკე.

ნიადაგი. მართალია საქართველო ციტრუსის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთში მდებარეობს, მაგრამ მისი წარმოების საკმაო პოტენციალი არსებობს, რაც თავის მხრივ გაანალიზებულ იქნა საუკუნეების წინ, როდესაც აქ მანდარინის პლანტაციებს ჩაეყარა საფუძველი. დღეს შესაძლებელია რომ ნიადაგის სწორი ანალიზით, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ზედაპირის გამდიდრება მანდარინის პლანტაციისათვის შესაბამისად. რეგიონში არსებობს ლაბორატორიები და სახელმწიფო სუბსიდირებასაც კი აკეთებს ასეთი ანალიზის გაკეთებაზე (80 ლარის ნაცვლად ფერმერს უჯდება 20 ლარი). თუმცა, როგორც გაირკვა, ყველა ნივთიერებაზე ვერ ხერხდება შემოწმება ამ ლაბორატორიებში და საჭიროა შედარებით უფრო ღრმა (და ძვირი) ანალიზის გაკეთება. ზოგადად აჭარის რეგიონი მცირემიწიანია, ამას თან ერთვის მიწების დანაწევრება და ეს ყველაფერი აფერხებს დიდი პლანტაციების არსებობას რეგიონში. ასევე, პრობლემას წარმოადგენს დაურეგისტრირებელი მიწები და ზოგადად მიწის ბაზრის განუვითარებლობა.

ნერგები. აგროსერვისცენტრმა 2012 წელს დაიწყო ახალი ჯიშების გამოცდა და უკვე მეორე-მესამე წელია რეკომენდაციას გასცემს სხვადასხვა ჯიშების გავრცელებაზე, რომლებიც შეესაბამება აჭარის სუბტროპიკული ზონის პირობებს (მაგ: საადრეო ჯიში ტიახარა უნშიუ). ამ ნერგებს სახელმწიფო პროგრამის მონაწილეებს უფასოდ გადასცემს, მცირე თანამონაწილეობის საფასურად (რა თქმა უნდა თუ პირობებს აკმაყოფილებს). ამის გარდა, რამდენიმე კერძო სანერგე ყიდის ნერგებს, 1 წლიანი ნერგის ფასია 3 ლარი, ხოლო სამწლიანი ნერგი 7-8 ლარი ღირს.

შხამ-ქიმიკატები. დღეს უკვე შხამ-ქიმიკატების საკმაოდ ბევრი შემომტანი და დისტრიბუტორ-გამსაღებელია რეგიონში. თუმცა თვითონ პრეპარატების ხარისხი და ფასი ერთმანეთთან ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა, რასაც ფერმერები აღნიშნავენ. ერთის მხრივ, ფერმერები ცდილობენ, რომ იაფიანი პრეპარატებით მოახდინონ მცენარის შეწამვლა, ასევე, არ მიყვებიან აგრო-ტექნოლოგიის სრულ რუკას, შედეგად მოსავლიანობა არის დაბალი და უხარისხო (არასტანდარტული) მანდარინის წილი საკმაოდ მაღალია მთლიან მოსავალში (საშუალოდ 20%).

სამუშაო ძალა

აჭარაში და ზოგადად მთელს საქართველოში, მანდარინის კრეფა ხდება ხელით. შრომატევადია ასევე მანდარინის გადარჩევა-დახარისხების პროცესი. რაც იწვევს სამუშაო ძალის მაღალ ჩართულობას მოსავლის აღების პერიოდში. გარდა ამისა, მანდარინის ხის მოვლა საკმაოდ შრომატევადია. მართალია მოსავლის აღების სეზონზე სამუშაო ძალაზე შედარებით მაღალი მოთხოვნა არსებობს, თუმცა დეფიციტი მაინც ნაკლებად იქმნება, ძირითადად ოჯახის წევრები და ახლობლები ურთიერთდახმარების (ნადის) წესით

ეხმარებიან ერთმანეთს კრეფაში. ხოლო დაქირავებული შრომის დღიური ანაზღაურება მერყეობს 20-დან 30 ლარამდე.

რაც შეეხება მაღალ-კვალიფიციურ მუშახელს, როგორც საჭიროა გასხვლის, შეწამვლისა და სხვა აგრო-ღონისძიებების ჩატარების დროს, ისევე როგორც გადამუშავებისას, მაინც პრობლემად რჩება რეგიონში. ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ამ დარგით, რამაც შესაძლოა ეს მდგომარეობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო სავალალო გახადოს, თუ არ მოხდა ახალი თაობით ძველის ჩანაცვლება.

ფერმერები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქსტატის 2014 წლის სოფლის მეურნეობის აღწერის მიხედვით, აჭარაში 24 ათასამდე მანდარინის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობაა, რომელთა საშუალო ფართობი წარმოადგენს დაახლოებით 0.2 ჰექტარს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთ ფერმერულ მეურნეობას ხშირ შემთხვევაში ეს პლანტაცია 2 სხვადასხვა ნაკვეთზე აქვს, რაც რაღა თქმა უნდა ართულებს პლანტაციების მოვლა-პატრონობას და ზრდის ხარჯებს. ჯამში დაახლოებით 4800 ჰექტარი ფართობი უკავია მანდარინის პლანტაციებს აჭარაში, სადაც 3 მილიონზე მეტი მანდარინის ხეა გაშენებული.

ფერმერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მანდარინის ბალის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. ამ კუთხით კვლევამ გამოავლინა სამი ტიპის ფერმერები, რომლებიც დეტალურად აღწერილია მომდევნო ქვეთავში.

შუამავალი რგოლები - ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი პუნქტები და სამაცივრე მეურნეობები

აჭარაში მანდარინის საექსპორტოდ მომზადებას 40-მდე ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი პუნქტი ახორციელებს. მათი საერთო სიმძლავრე დაახლოებით 30 ათას ტონაზე მეტია. აქ ხდება მანდარინის დაკალიბრება, პარაფინირება, პლასტმასის, მუყაოს და ე.წ. შპონის (ხის) ტარაში შეფუთვა და პალეტებად შეკვრა. შესაძლებელია ასევე 45 ათასი ტონა საექსპორტო მანდარინისათვის ყუთების დამზადება¹⁷.

2014 წლიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება რეგიონში, რომელიც სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დღესაც მიმდინარეობს ქვეყანაში. დღეის მდგომარეობით, აჭარაში მოქმედებს 15 კოოპერატივი, რომელიც მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში არიან ჩართულები და ძირითადად ახორციელებენ მანდარინის შეგროვება-დახარისხებას და პროდუქციის საექსპორტოდ თუ ადგილობრივი ბაზრისათვის გამზადებას.

აჭარაში არსებული თანამედროვე სამაცივრე მეურნეობებში შესაძლებელია 7 ათასი ტონა ციტრუსის შენახვა. გარდა ამისა, რეგიონში არსებობს კუსტარულად მოწყობილი გრილისარდაფები, რომელთა ტევადობა არ აღემატება რამდენიმე ტონას თითოეულის შემთხვევაში და გაციებისა და ტენიანობის ხარისხიც არ შეესაბამება სტანდარტებს, თუმცა შედარებით მცირე მანძილზე არსებულ საექსპორტო თუ შიდა ბაზრებზე მიწოდებისათვის ხშირად გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, შუამავალი რგოლების (შემგროვებელი, დამხარისხებელი, სამაცივრე) არასაკმარისი რაოდენობა მიჩნეულია დარგის განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ

¹⁷ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>

შემაფერხებელ ფაქტორად, რომლის გაუმჯობესებისათვის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაწყებული აქვს პროექტები.

ფოტო 4: მანდარინის დახარისხება. აჭარა.



ფოტო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ექსპორტიორები

უკვე რამდენიმე წელია, აჭარაში მანდარინის აღების სეზონზე გახსნილია „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოქმედი ციტრუსის შტაბი¹⁸, სადაც ექსპორტიორს შეუძლია საექსპორტო დოკუმენტაციის (იხილეთ დანართი 4) მომზადება დაახლოებით 1 საათში, და ერთ კონტეინერზე ეს ყველაფერი საკმაოდ იაფი ჯდება (იხდის მხოლოდ ფიტოსანიტარულ სერთიფიკატში, დანარჩენი უფასოა). ამ ოფისის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს, აჭარაში სულ 30-მდე ექსპორტიორი იყო რეგისტრირებული.

საინტერესოა, რომ ბევრი შუამავლი რგოლი იყენებს ექსპორტიორს რათა საზღვარგარეთ გაიტანონ მანდარინი. რამდენიმე შუამავალმა შეწყვიტა ექსპორტზე თავისი ძალებით გატანა და ამბობს, რომ ურჩევნია ექსპორტიორის საშუალებით გაყიდოს მანდარინი, ვიდრე თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა მის ტრანსპორტირებასა და გასაღებაზე.

გადამუშავება / საკონსერვო წარმოება

არასტანდარტული მანდარინის უმეტესი ნაწილის შესყიდვას ახდენენ ორი მსხვილი გადამამუშავებელი კომპანია, რომლებიც საშუალოდ 20 თეთრს იხდიან კილოგრამზე, საიდანაც სახელმწიფო სუბსიდიის სახით ანაზღაურებს 10 თეთრს. ეს საწარმოები სეზონზე დაახლოებით 11 ათას ტონაზე მეტი არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებას ახორციელებენ და დამზადებულ კონცენტრატს უმეტესწილად ექსპორტზე აგზავნიან.

ექსპორტის გარდა, მანდარინის კონცენტრატს, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იყენებენ ადგილობრივი წვენის მწარმოებელი ქარხნებიც (კონცენტრატისგან ამზადებენ წვენს).

¹⁸ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>

თუმცა მანდარინის წვენი არ გახლავს პოპულარული სასმელი ქართველი მომხმარებლისათვის.

ამის გარდა, გასულ წელს ერთ-ერთმა ქართულმა საკონსერვო ქარხანამ, წარმოებაში ჩაუშვა მანდარინის მურაბა.

საცალო მოვაჭრეები

საცალო მოვაჭრეები უკვე დახარისხებულ მანდარინს ყიდულობენ შემდგომ საბოლოო მომხმარებელზე გადაყიდვის მიზნით. როგორც წესი საცალო მოვაჭრეები ყიდიან მანდარინს ღია ბაზრობებზე, გზის პირას, ქუჩაში მდებარე დახლებიდან, ხოლო შედარებით უფრო დახვეწილი ფორმით მანდარინს ყიდიან მინი თუ სუპერმარკეტები.

სუპერმარკეტებში ასაწონ მანდარინთან ერთად, ასევე შეხვდებით უკვე აწონილ და ლამაზად დაფასოვებულ მანდარინს, დანარჩენ შემთხვევებში როგორც წესი მანდარინის აწონვა ხდება მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად და იშვიათია უკვე დაფასოვებული სახით გაყიდვა.

მომხმარებლები

ქართველი მომხმარებლები

ჩატარებული კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ მანდარინს ადგილობრივი მომხმარებელი საკმაოდ ხშირად მოიხმარს. მომხმარებელს მოსწონს ქართული მანდარინი, რადგან ის თვლის რომ ნატურალურია, გამოირჩევა გემოვნური თვისებებით, თავისებური მჟავიანობით, სასარგებლო ელემენტებითა და შაქრიანობით. მანდარინს ქართველი მომხმარებელი ყიდულობს: ზომის, ფერისა და გემოს მიხედვით. მანდარინის ფასი მათთვის სეზონზე ხელმისაწვდომია, არასეზონზე კი მეტ-ნაკლებად. ქართველი მომხმარებლის ნაწილი გადამუშავებულ მანდარინის პროდუქტებს ნაკლებად მოიხმარს, ნაწილი წვენის სახით მოიხმარს. გადამუშავებული მანდარინის მომხმარებელთა აზრით, გადამუშავებული მანდარინის პროდუქტი, ბაზარზე ადგილობრივთან შედარებით, იმპორტირებული უფრო არის ხელმისაწვდომი.

უცხოელი მომხმარებლები

უცხოელი მომხმარებლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული მანდარინი მათ მოწონთ ძირითადად გემოვნური თვისებების გამო (ქართული მანდარინი ცოტა მჟავია), მისი ფასი სხვებთან შედარებით დაბალია, და აგრეთვე იმიტომ, რომ ის არ გამოიყურება „იდეალურად“ რაც ზოგიერთის აზრით, მის ნატურალურობაზე მეტყველებს. ერთადერთ ძირითად ელემენტს, რომელსაც ისინი ასახელებენ, რითიც პოტენციური აქვს ქართულ მანდარინს ევროპის ბაზარზე არის ფასი. ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად კი სერთიფიცირება და ბრენდირება არის უცხოელი მომხმარებლების მთავარი რეკომენდაცია.

გადამუშავებული პროდუქციიდან ისინი ასახელებენ მანდარინის წვენს, კონსერვს და ჯემს, რომელსაც მოიხმარენ (მაგალითად Wilkin & Sons გერმანიაში, იმპორტირებულია ბრიტანეთიდან), მაგრამ ქართული მანდარინისგან დამზადებული პროდუქცია არ გაუგიათ.

მანდარინზე მოთხოვნა ძირითადად ზამთარშია, თუმცა მასზე მოთხოვნა ასევე არსებობს გაზაფხულზეც გრიპის ვირუსის გავრცელების დროს (რამდენადაც მანდარინი დიდი ოდენობით C ვიტამინს შეიცავს).

8.2.2. მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ან მომავალში მოახდენენ მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვზე.

სახელმწიფო უწყებები

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, რამდენიმე პროექტს ახორციელებს უშუალოდ მეციტრუსე ფერმერებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია, 2011 წელს დაარსებული სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც ხდება ციტრუსის ახალი ჯიშების გამოცდა, მათ შორის 64 მანდარინის ახალი ჯიშის. რამდენიმე მათგანზე უკვე გაიცემა რეკომენდაცია და სახელმწიფოს დახმარებით 2016 წელს 7 ჰექტარი გაშენდა, ხოლო 2017-2018 წლებში დაგეგმილია დამატებით 9 ჰექტარი.

2013-2014 წლებში სახელმწიფოს დახმარებით გაკეთდა 30-მდე შემგროვებელი პუნქტი (ე.წ. კონსოლიდაციის ცენტრები), რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ და ფერმერებსა და შუამავლებს ემსახურებიან მანდარინის შეგროვება-დახარისხებასა და შიდა თუ უცხოურ ბაზარზე მიწოდებისათვის გასამზადებლად.

საკუთარი ძალებით, ისევე როგორც ექსტენციის მომსახურების შესყიდვით, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ცდილობს მეციტრუსეთა ცნობიერების ამაღლებას საველე პირობებში. მიმდინარეობს ასევე სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მუშაობა, სადაც ფერმერებისათვის მოხდება მანდარინის კულტურის აგრო-ტექნოლოგიური კალენდარის მიხედვით ყველა პროცედურისა და საქმიანობის შესწავლა.

2014 წლიდან მოქმედებს ციტრუსის შტაბი¹⁹, რომელიც კოორდინირებას უწევს მანდარინის მოსავლის აღების სეზონის მიმდინარეობისას. შტაბში მოქმედებს ცხელი ხაზი და საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რაც ამარტივებს პროცედურებს, იგებს დროს და ამცირებს ბიზნესის ხარჯებს. შტაბის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს ასევე არასტანდარტული მანდარინის გადამუშავებაც, სადაც სახელმწიფო ახდენს შესყიდვის თანხის ნახევრის სუბსიდირებას.

სახელმწიფოს დაფინანსებით უკვე წლებია მიმდინარეობს აგროდაზღვევის პროექტი, რომელიც მანდარინის კულტურასაც მოიცავს. ეს პროგრამაც სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ და მანდარინის ფერმერს 1 ჰექტარზე უწევს მხოლოდ 300 ლარის გადახდა (დარჩენილ 700 ლარს სახელმწიფო სუბსიდის სახით ფარავს). ჯერ-ჯერობით აგროდაზღვევა სრულყოფილი არ არის და არსებობს მის მიმართ ფერმერთა პრეტენზიები, როგორც ზარალის შეფასების, ასევე დაზღვევის პერიოდის მიმართ.

¹⁹ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების დეპარტამენტისა და აგრარული პროექტების დანერგვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის დეპარტამენტების სპეციალისტები მუნიციპალიტეტებში წარმოადგენენ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს რეგიონში. გარდა ამისა ისინი აგროვებენ ინფორმაციას მანდარინის პლანტაციების, მოსალოდნელი მოსავლის, საბაზრო ფასებისა და ა.შ. შესახებ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებიდან უშუალოდ მანდარინის სექტორს ეხება „დანერგე მომავალი“, „შელავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“ და „აგროდაზღვევა“, რომელთაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს კერძო სექტორთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომელიც მრავალწლიანი კულტურების გაშენებას ისახავს მიზნად, მეციტრუსეობაში ჯერ ბენეფიციარი ფერმერი არ ყავთ, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ პროგრამის მოთხოვნა არის მინიმუმ 1 ჰექტარი მიწა და მეორეს მხრივ მეციტრუსე ფერმერთა ნაკლები დაინტერესება ამ პროგრამისადმი. თუმცა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავისი საქვეუწყებო დაწესებულებით ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრით ახორციელებს ქვეპროგრამას „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს განხორციელდება 9 ჰა ფართობზე საადრეო მანდარინის ბაღების გაშენება, ხოლო 2019 წლისათვის დაგეგმილია 25 ჰა. მრავალწლიანი კულტურის ბაღების გაშენების ფარგლებში ფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ მინიმუმ 0,05ჰა და მაქსიმუმ 1 ჰა ფართობზე ბაღის გაშენება. მანდარინის ბაღების გაშენების შემთხვევაში კი ფერმერებსა და აგრომეწარმეებს უფინანსდებათ შესასყიდი საადრეო მანდარინის ნერგები (ჯიში „ტიახარა უნშიუ“), შემდეგნაირად: ა) ამორტიზირებული ბაღების განახლების შემთხვევაში დაფინანსდება ნერგის ღირებულების 100%-ის ოდენობით ბ) ახალი პლანტაციების გაშენების შემთხვევაში დაფინანსდება ნერგის შესყიდვის ღირებულების 30%-ის ოდენობით.

აღსანიშნავია, ასევე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტაჟირების პროგრამა, რომელიც აგრარული მიმართულების სტუდენტებს ყოველწლიურად ფასიანი სტაჟირების გავლას სთავაზობს. ეს სტუდენტებისათვის კარგი პრაქტიკაა, განსაკუთრებით იმ ფონზე როდესაც ციტრუსის წარმოებაში პრაქტიკულად ახალგაზრდები აღარ არიან ჩართულები.

უკვე რამდენიმე წელია აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით იმართება ციტრუსის ფორუმი ბათუმში, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან²⁰. იგი იმართება სექტემბრის თვეში, და ფორუმის ფარგლებში ხდება სექტორში ჩართული ბიზნესმენების შეხვედრა და საკონტრაქტო მოლაპარაკებები მანდარინის სეზონის დაწყების წინ (B2B შეხვედრები). ამის გარდა, სამინისტროს ორგანიზებით დეკემბრის თვეში იმართება ციტრუსის ფესტივალი, სადაც სხვა აქტივობებთან ერთად ხდება ციტრუსის როგორც ხილის, ასევე მისგან წარმოებული სხვადასხვა პროდუქტების დაგემოვნება (მაგალითად 2017 წელს კონიაკის სახელწოდებით „რეზონიაკის“ დაგემოვნება მოხდა).

²⁰ 2017 წლის სექტემბერში გამართულ ციტრუსის ფორუმს ბათუმში 9 ქვეყნიდან წარმოდგენილი 35 კომპანიის წარმომადგენელი სტუმრობდა.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

აჭარის რეგიონში წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობდა. ამჟამად რამდენიმე ორგანიზაცია აგრძელებს თავის საქმიანობას სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს ორგანიზაციები როგორც წესი ეხმარებიან მანდარინის მწარმოებელ ფერმერებს სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს ტრენინგები, ტექნიკის გადაცემა თუ სხვა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ევროკავშირის (EU) ENPARD-ის პროგრამა, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებდა და გარკვეულწილად დღესაც მიმდინარეობს. ამ პროექტის მხარდაჭერით მოხდა რეგიონში 15 მანდარინის კოოპერატივის დახმარება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია USAID-ის პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“, რომელიც მოიცავდა ციტრუსის მწარმოებელი ფერმერების ინტენსიურ სწავლებას თუ როგორ უნდა მოუარონ ფერმერებმა მანდარინის პლანტაციებს, რომ გაზარდონ მოსავლიანობა და პროდუქტის ხარისხი. ეს პროგრამა ორი წელი გაგრძელდა და ამ პროგრამის ექსპერტების შეფასებით (რომელიც 2014 წელს გააკეთეს), თუ ფერმერები ზუსტად გამოიყენებდნენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას, დაახლოებით 5 წელიწადში (2018-2019 წლებში) უნდა შეძლებოდათ მათ ევროპულ ბაზარზე შესვლა და სხვა ექსპორტიორი ქვეყნებისათვის კონკურენციის გაწევა²¹. სამწუხაროდ, დღეს 4 წლის შემდგომ ევროკავშირის ბაზარზე ქართული მანდარინის შეტანის მხოლოდ ერთეული შემთხვევები არსებობს (2017 წელს ერთი კონტეინერი შევიდა პოლონეთში (20 ტონა) და კიდევ უფრო მცირე რაოდენობა (3 ტონა) ლიტვაში), რაც რეალურად სურათს ვერ ცვლის.

დონორი ორგანიზაციების გარდა, აღსანიშნავია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები მანდარინის სექტორის განვითარებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და „შავი ზღვის ეკო-აკადემია“, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ მანდარინის მწარმოებელი ფერმერების ტრენინგებს.

ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები)

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მრავლად არის ფინანსური ინსტიტუტები წარმოდგენილი, კრედიტზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ფერმერების შემთხვევაში ხშირად განიხილება როგორც მათი საქმიანობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორი. ამ კუთხით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილი „შეღავათიანი აგროკრედიტი“-ს პროგრამა მიჩნეულია როგორც კრედიტის ერთ-ერთი იაფი წყარო, რომელსაც ბევრი ფერმერი მიმართავს. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ეს პროგრამა მსხვილი მეურნეობებისათვის, ხოლო მცირე მეურნეობებს (როგორებიც მრავლადაა აჭარაში, განსაკუთრებით მეციტრუსეები) უჭირთ ამ პროგრამის საშუალებით სესხის მიღება ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათ მოეთხოვებათ სესხის უზრუნველყოფა მაღალლიკვიდური აქტივით, რომელსაც ბანკები ითხოვენ. ამიტომაც მცირე და საშუალო მეურნეობებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რეგიონში რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

²¹ <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-a5-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-97-e1-83-a3-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-9b-e1-83-90-e1-83-9c-e1-83-93-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-94-e1-83-91-e1-83-98>

რაც შეეხება აგრო დაზღვევას, ამ მიმართულებით სახელმწიფომ კერძო სექტორთან თანამშრომლობით (იგულისხმება სადაზღვევო კომპანიები) რამდენიმე წელია რაც დაიწყო მოსავლის დაზღვევა და ახორციელებს სადაზღვევო პრემიუმის სუბსიდირებას, რათა ფერმერებმა მოახდინონ რისკების შემცირება. კერძოდ კი, დაზღვევა ეხება აგროკლიმატური რისკების (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით²²) მიერ მიყენებული ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ის ძირითადი მახასიათებლები, რითიც ხდება დაზღვევის ყიდვა და ზარალის დადგომის შემთხვევაში ანაზღაურების გაანგარიშება და გადახდა²³. აღსანიშნავია, რომ ეს არის მოსავლის დაზღვევა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ 10 დეკემბრამდე.

ცხრილი 5: სახელმწიფოს აგროდაზღვევის პროექტი: მანდარინისათვის

კულტურა	სააგენტოს თანამონაწილეობა	ფერმერის თანამონაწილეობა	სადაზღვევო ტარიფი	ნორმატიული ფასი (ლარი/ჰა)	ნორმატიული ფასი (ლარი/კგ)	ნორმატიული მოსავლიანობა (კგ/ჰა)	ფერმერის მიერ გადასახდელი თანხა	სახელმწიფო სუბსიდია
მანდარინი	70%	30%	10%	10,000	0.5	20,000	300	700

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (www.apma.ge)

მიმდინარე წელს ცვლილება შევიდა აგროდაზღვევის პროგრამაში და ამერიკიდან სარგებლობა შეეძლება მხოლოდ იმ ფერმერებს, რომელთაც დარეგისტრირებული აქვთ მიწის ნაკვეთები და გააჩნიათ შესაბამისი საკადასტრო კოდი. ამ ცვლილების შედეგად მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია რომ შემცირდეს დაზღვეული მანდარინის პლანტაციის ფართობების რაოდენობა, თუმცა მეორეს მხრივ ეს პირობა უზიარებს ფერმერებს, რომ დაარეგისტრონ თავიანთი მიწა, რაც გაზრდის და ხელს შეუწობს საქართველოში მიწის ბაზრის განვითარებას. ასევე, მნიშვნელოვანია რომ გაგრძელდეს და განვითარდეს აგროდაზღვევა საქართველოში.

სექტორული ასოციაციები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობენ ფერმერული ასოციაციები, კონკრეტულად ციტრუსის მიმართულებით აქტუალური არც ერთი არ გახლავთ. მანდარინის მწარმოებელი ფერმერებიც არ იჩენენ დიდად ინტერესს რომ გაერთიანდნენ ფერმერულ ასოციაციებში, ან თვითონ დააფუძნონ ციტრუსის მწარმებელთა ასოციაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი ცენტრები

რეგიონში არის რამდენიმე უნივერსიტეტი და ასევე კოლეჯები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და აგრარული

²² <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

²³ თუ რა პროცედურებია საჭირო მანდარინის პლანტაციაში ზიანის შეფასებისათვის, ამაზე კარგი სახელმძღვანელო შეიმუშავა BFC-მ პროექტ PAFAI-ს ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო შვეიცარიის მხარის მიერ (SDC).

მიმართულებით ერთ-ერთ წამყვან რეგიონალურ უნივერსიტეტადაც ითვლება. ვინაიდან უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეციტრუსეობის შესწავლის მიმართულებას. თუმცა გასაძლიერებელია ციტრუსის შესახებ თანამედროვე მიდგომების შესწავლა.

საერთაშორისო სავაჭრო გარემო და ლოჯისტიკა

საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. მას აქვს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, აშშ, და იაპონიასთან. 2016 წელს ასევე გაღრმავდა სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთთან.

მაღალი ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისი მანდარინის წარმოების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია განახორციელოს მანდარინის ექსპორტი ზემოთხსენებულ ქვეყნებში დაბალი ტარიფებით ან საერთოდაც უტარიფოდ. ასევე, მოსალოდნელია კონკურენციის ზრდა ადგილობრივ, ქართულ ბაზარზე, ვინაიდან სავაჭრო შეთანხმებები ორმხრივ შეღავათებს გულისხმობს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ექსპორტზე გასატანი საქონლის საბაჟო გაფორმებას ახორციელებენ საბაჟო ორგანოები. ექსპორტის განსახორციელებლად მეწარმე სუბიექტს ეს ყველაფერი შეუძლია უკვე აჭარაში „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოქმედ ციტრუსის შტაბში განახორციელოს. რაც შეეხება ფერმერსა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლის საწარმოებში მაღალი სტანდარტების დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემას (ISO, Global Gap), ამ კუთხით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

რეგიონიდან 30-მდე ექსპორტიორი ახორციელებს მანდარინის გატანას საზღვარგარეთ. ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება სატვირთო ავტომობილები (მაცივარ-კონტეინერი) და ბორანი საზღვაო გადაზიდვებისათვის რუსეთსა და უკრაინაში.

რამდენადაც მანდარინი მალფუჭებადი ციტრუსოვანი ხილია, ტრანსპორტირებისას საკმაოდ მაღალი რისკები არსებობს. საქართველოდან ექსპორტზე გატანის დროს, ასეთ რისკებს წარმოადგენს შტორმი შავ ზღვაში (როდესაც რბორანით ხდება ტრანსპორტირება) და ჯვრის უღელტეხილის დაკეტვა, რაც ზამთარში მანდარინის ექსპორტის პერიოდში საკმაოდ პრობლემატურია.

9. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი

9.1. მწარმოელთა დანახარჯები და შემოსავლები

მანდარინის მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები დამოკიდებულია მანდარინის მოვლა-მოყვანისათვის საჭირო აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც პლანტაციების უმეტესობაში სათანადოდ არ ხდება. ხეების დიდი ნაწილი გადაბერებულია და მათი მოსავლიანობა დაბალი. ფერმერებიც ნაკლებად ზრუნავენ მათ განახლებაზე, ან თუნდაც სათანადო აგრო ღონისძიებების გატარებაზე (გასხვლა, გათიბვა, სასუქის შეტანა, შეწამვლა და სხვ.). საბოლოოდ გამოდის, რომ მხოლოდ ფერმერთა მცირე ნაწილი ახდენს სათანადო მოვლას, უმეტესობა კი შეძლებისდაგვარად აქცევს ყურადღებას.

ფერმერის ძირითადი დანახარჯები მოდის მანდარინის პლანტაციის მოვლაზე (გასხვლა, სასუქებისა და მხამქიმიკატების შეძენა-გამოყენება), ასევე სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები განსაკუთრებით მოსავლის აღებისას.

შემოსავალი კი განისაზღვრება მანდარინის მოსავლიანობით (მათ შორის ხარისხიანი მოსავლით) და ფასით. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ფერმერები დავყავით სამ კატეგორიად:

(1) მანდარინის მწარმოებელი ფერმერები, რომელიც მინიმალურად უვლიან თავიანთ პლანტაციას და იღებენ საშუალოდ 12 ტ/ჰა (ეს შემთხვევა ტიპურია აჭარაში, წარმოადგენს რა ფერმერთა უმეტესობას);

(2) ფერმერები რომლებიც მეტ-ნაკლებად უვლიან ბაღებს და მათი საშუალო მოსავლიანობა არის 20 ტ/ჰა;

(3) ახლად გაშენებული და კარგად მოვლილი (ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღები) პლანტაციის შემთხვევაში შესაძლებელია 40 ტ/ჰა მიღება²⁴ (ამ უკანასკნელის შემთხვევაში 50ტ/ჰა და მეტის მოყვანაც არის შესაძლებელი).

შესაბამისად ფერმერის ტიპებიდან გამომდინარე, 3 სახის ფერმერისათვის გაკეთდა ეკონომიკური გათვლები, რათა მომხდარიყო მათი ერთმანეთთან შედარება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია და მოყვანილია ძირითადი ინდიკატორები სამივე სახის ფერმერისათვის. გაანგარიშებები გაკეთებულია 1 ჰა მანდარინის ბაღის პლანტაციაზე შემდეგი დაშვებების გათვალისწინებით:

ტიპური ფერმერი - აქვს გადაბერებული მანდარინის ხეები (50 წელზე მეტის), იშვიათად ახდენს მათ განახლებას, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოების მცირე რაოდენობას ატარებს, მათ შორის სასუქების შეტანასაც მცირე დოზით ახდენს, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს. საკუთარი ოჯახის შრომითა და ზოგჯერ „ნადის“ წესით²⁵ იყენებს დამხმარე მუშახელს. აგრო დაზღვევას როგორც წესი არ მიმართავს. მიღებული მოსავლიდან კი დაახლოებით 80%-ს ყიდის, დანარჩენის მოხმარება ხდება ოჯახში,

²⁴ ასეთი ფერმერები ჯერ არ არიან აჭარაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფერმერს, რომელმაც ახალი ბაღები რამდენიმე წლის წინ გააშენეს (და ეს პროცესი ყოველწლიურად მიმდინარეობს). ასეთი ბაღების გაშენებისა და მოვლის ბიუჯეტი მოგვაწოდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

²⁵ ურთიერთდამხმარების უფასო ფორმა, რომელიც მთელს საქართველოშია გავრცელებული.

გააჩუქებს ახლობელ-ნათესავებზე და ნაწილი კი გასაყიდად უვარგისია (ხშირად ხეზევე ტოვებს ნაყოფს).

საშუალო ფერმერი - აქვს გადაბერებული მანდარინის ხეები (50 წელზე მეტის), თუმცა შეძლებისდაგვარად ახდენს მათ განახლებას, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოებს სრულად ვერ ატარებს, და სასუქების შეტანასაც საშუალო დოზით ახდენს, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს. საკუთარი ოჯახის შრომით, ზოგჯერ ნადის წესით და ასევე დაქირავებული მუშახელის გამოყენებით ასრულებს სამუშაოებს. აგრო დაზღვევას როგორც წესი იყენებს. მიღებული მოსავლიდან კი დაახლოებით 85%-ს ყიდის, დანარჩენის მოხმარება ხდება ოჯახში, გააჩუქებს ახლობელ-ნათესავებზე და ნაწილი კი გასაყიდად უვარგისია.

კარგი (ნახევრად-ინტენსიური) პლანტაციის მფლობელი ფერმერი - აქვს ახალგაშენებული მანდარინის ბაღი, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოებს სრულად ატარებს, მათ შორის სასუქების შეტანას, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს. საკუთარი ოჯახის შრომას იშვიათად იყენებს და უმეტესად დაქირავებული მუშახელის გამოყენებით ასრულებს სამუშაოებს. აგრო დაზღვევას იყენებს. მიღებული მოსავლიდან კი დაახლოებით 95%-ს ყიდის, დანარჩენის მოხმარება ხდება ოჯახში, გააჩუქებს ახლობელ-ნათესავებზე და ა.შ.

ქვემოთ ცხრილ 6-ში მოყვანილია ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები, რაც გარკვეული მოსავლიანობისა და ფასების დაშვებით მანდარინის სხვადასხვა ტიპის ფერმერებისათვის არის დამახასიათებელი. დეტალური გაანგარიშებები შეგიძლიათ იხილოთ დანართი 5-ში.

ცხრილი 6: მარჟინალური მოგების შედარება სხვადასხვა ტიპის მანდარინის ფერმერების შორის

#	ინდიკატორები	ტიპიური ფერმერი	საშუალო ფერმერი	ნახევრად-ინტენსიური ფერმა
1	მთლიანი ხარჯი (ლარი)	2,917	4,403	12,211
2	გასაყიდი მოსავალი (კგ/ჰა)	10,000	17,000	38,000
3	შეწონილი საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	0.55	0.55	0.60
4	შემოსავლები (ლარი)	5,500	9,350	22,800
5	მოგება (ლარი)	2,583	4,947	10,589
6	თვითღირებულება (ლარი/კგ)	0.24	0.22	0.31
7	მოგების მარჟა (ლარი/კგ)	0.22	0.25	0.26
8	მოგების მარჟა (%)	47%	53%	46%
9	ნულოვანი მოგების წერტილი (კგ/ჰა)	5,245	6,691	15,979

წყარო: ავტორების გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გამოყენებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური გაანგარიშებები.

შენიშვნა: დეტალური ეკონომიკური გაანგარიშებები მოცემულია დანართი 5-ში.

აღსანიშნავია, რომ ნახევრად-ინტენსიური ბალების გაშენებისას საწყისი საინვესტიციო ხარჯები შედარებით მაღალია (იხილეთ დანართი 6), თუმცა შედეგებიც ბევრად აღემატება დანარჩენი ორი ტიპის ფერმებისას, თანაც ასეთი ბალის სიცოცხლისუნარიანობა მინიმუმ 50 წელია, მაშინ როდესაც უკვე გადაბერებული ბალების სიცოცხლისუნარიანობა და მოსავლიანობა ყოველწლიურად იკლებს. ასევე, რაოდენობრივი მაჩვენებლების გარდა, მიღებული მოსავალი განსხვავდება ხარისხობრივადაც, რაც გასაყიდ ფასშიც აისახება.


9.2. დამატებული ღირებულების ანალიზი

დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე წარმოადგენს ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობას. ქვემოთ მოცემული დიაგრამები (დიაგრამა 2, 3 და 4) აფასებს მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის როგორ ნაწილდება დამატებული ღირებულება. მოცემულია სამი შემთხვევა: (1) როდესაც სტანდარტული ხარისხის მანდარინი მიეწოდება ადგილობრივ ბაზარს მოხმარებისათვის, (2) როდესაც მანდარინი ექსპორტზე გადის რუსეთში და (3) როდესაც მანდარინი ექსპორტზე გადის პოლონეთში²⁶.

ჩვენი შეფასებით, საქართველოში მანდარინის ყოველწლიური მოხმარება შეადგენს 10 ათასი ტონას. ადგილობრივი მოხმარებიდან თითქმის 90% მოდის ქართულ მანდარინზე. როგორც მოსალოდნელია, მანდარინის საცალო ფასი შედარებით იაფია აჭარაში მთლიან საქართველოს ფასთან მიმართებაში. რაც შეეხება იმპორტირებული მანდარინის ფასს, ის უფრო მაღალია და როგორც ზემოთაც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მანდარინი უფრო დიდი ხნის პერიოდში გვხვდება ქართულ ბაზარზე (ე.წ. არასეზონზე) და მაღალი ფასის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლავთ. მეორე მიზეზი კი არის შედარებით უკეთესი ვიზუალი და დიამეტრის სიდიდე. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია საცალო ფასების შედარება ბოლო სამი წლის შესაბამისი თვეების მიხედვით.

²⁶ ყველა ფასი წარმოდგენილია საშუალო მაჩვენებლით.


გრაფიკი 13: მანდარინის საცალო ფასები საქართველოში



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რაც შეეხება ქართული მანდარინის საბითუმო და საცალო ფასებს შორის სხვაობას, მათ შორის დიაპაზონი საკმაოდ მაღალია - აჭარაში მანდარინის საშუალო საცალო ფასი დაახლოებით ორჯერ მაღალია საბითუმო ფასთან შედარებით და კიდევ უფრო მაღალია საქართველოს საშუალო საცალო ფასს თუ შევადარებთ. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ეს სხვაობა კარგად ჩანს.


გრაფიკი 14: ქართული მანდარინის საცალო vs. საბითუმო ფასები აჭარაში



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მაშასადამე, ირკვევა რომ საშუალო საბითუმო ფასი თვეების მიხედვით მერყეობს 0.55 თეთრიდან 0.65 თეთრამდე კილოგრამზე, მაშინ როდესაც საშუალო საცალო ფასის მინიმალური ზღვარი არის 1 ლარი/კგ-ზე და 2 ლარამდეც ადის მარტში.

დიაგრამა 2: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე მოხმარებისთვის



წყარო: ავტორების გაანგარიშება


შენიშვნა: შუამავალსა და საცალოდ მოვაჭრეს შორის შესაძლოა იყოს დამატებითი რგოლი (მაგ: საბითუმოდ მოვაჭრე).

გათვლებიდან ირკვევა რომ ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას ქმნის საცალოდ მოვაჭრე (44%), მას მოყვება ფერმერი (33%) და ბოლოს შუამავალი (22%).

რაც შეეხება მანდარინის გადამამუშავებას, აქ როგორც კვლევამ გამოავლინა ხდება არასტანდარტული მანდარინის ჩაბარება, ბოლო წლებში საშუალოდ 20 თეთრად კილოგრამზე, რომელსაც შემდგომ გადამამუშავებელი კომპანია კონცენტრანტად აქცევს და გააქვს ექსპორტზე. მართალია ფასი დაბალია, თუმცა ამ სტანდარტისათვის შესაფერისია.

როგორც უკვე ვნახეთ, საქართველოში წარმოებული მანდარინის დაახლოებით ნახევარი მანდარინის ნაყოფის სახით გადის ექსპორტზე. ეს როგორც წესი არის ყველაზე მაღალი ხარისხის პროდუქცია რაც ქვეყანაში იწარმოება.

დიაგრამა 3: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის ექსპორტი ხორციელდება რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში




წყარო: ავტორების გაანგარიშება, გამოკითხვების, ციტრუსის შტაბის²⁷ და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის კვლევა მანდარინის წარმოებასა და ექსპორტის ლოჯისტიკაზე (2017²⁸).

მანდარინის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, ღირებულებათა ჯაჭვი შედარებით გრძელია და მასში ჩართული მონაწილე რგოლების სიმრავლიდან გამომდინარე, შედარებით მეტი დამატებული ღირებულებაც იქმნება. ყველაზე მეტი წილი კი აქედან ექსპორტიორებზე²⁹ მოდის, შემდგომ არის საცალო მოვაჭრეები, შუამავლები (შემგროვებელ/დამხარისხებელ/შემფუთავები) და ბოლოს ფერმერები. (გრაფიკი 15).

²⁷ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>
²⁸ „მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება“. დამკვეთი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემსრულებელი: IBERGES Consulting (2017).
²⁹ შენიშვნა: ექსპორტიორსა და საცალო მოვაჭრეს შორის შესაძლოა ერთი ან მეტი შუამავალი რგოლი კიდევ იყოს ჩართული, სანამ საბოლოო მომხმარებელამდე მივა მანდარინი.

გრაფიკი 15: დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე (ექსპორტის შემთხვევაში)



წყარო: ავტორების გაანგარიშება, გამოკითხვების, ციტრუსის შტაბის³⁰ და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევა მანდარინის წარმოებასა და ექსპორტის ლოჯისტიკაზე (2017).

აღსანიშნავია, რომ ექსპორტიორი ქვეყნის სიმორიდან და ტრანსპორტირების ტიპიდან გამომდინარე, ტრანსპორტირების დანახარჯები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ამაზე დეტალური ინფორმაციისათვის შეგიძლიათ იხილოთ უკვე არსებულ კვლევა, რომელიც აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით გასულ წელს ჩატარდა³¹.

³⁰ <http://citrus.moa.ge/index-ge.html>

³¹ „მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება“. დამკვეთი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემსრულებელი: IBERGES Consulting (2017).

10. მანდარინის ბაზარი ევროკავშირში

როგორც ზემოთ ვნახეთ, 2016 წელს ევროპაში 3.9 მილიონი ტონა მანდარინი იქნა წარმოებული, საიდანაც თითქმის 100% მოდის ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, რომელთაგან გამოირჩევა ესპანეთი და იტალია, მათ წილად 2016 წელს მოდიოდა ევროპაში წარმოებული მანდარინის 80%-ზე მეტი.

ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის მსოფლიოში მანდარინის მთლიანი იმპორტის რაოდენობის დაახლოებით 45% (2.1 მილიონი ტონა) და ღირებულების 50% (2.2 მილიარდი აშშ დოლარი). შესაბამისად, როგორც ცალკეულ ქვეყანათა კავშირი/გაერთიანება, ევროკავშირი გვევლინება მანდარინის ყველაზე მსხვილ ბაზრად. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტი რომ ამ ბაზარზე, მანდარინის იმპორტის საშუალო ფასი დაახლოებით 10%-ით აღემატება მსოფლიოს საშუალო ფასს და შეადგენს 1050 დოლარი/ტონა.

ევროკავშირის ქვეყნებში მანდარინის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნების სია 2014-2016 წლების საშუალო მონაცემების მიხედვით მოცემულია ცხრილ 7-ში.

ცხრილი 7: ევროკავშირში ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები და მათი მახასიათებლები

ქვეყანა	რაოდენობა (ტონა)	ღირებულება (მილიონი აშშ დოლარი)	1 ტონის ფასი (აშშ დოლარი)	ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები და მათი წილი*
გერმანია	397 571	437	1 101	ესპანეთი (90%)
საფრანგეთი	357 781	429	1 199	ესპანეთი (76%) მაროკო (10%)
დიდი ბრიტანეთი	312 956	389	1 244	ესპანეთი (46%) სამხრეთ აფრიკა (18%) მაროკო (13%) პერუ (8%)
ნიდერლანდები	206 004	238	1 156	ესპანეთი (39%) მაროკო (15%) სამხრეთ აფრიკა (14%) პერუ (8%)
პოლონეთი	139 320	110	789	ესპანეთი (68%) იტალია (12%)
ბელგია	73 930	104	1 404	ესპანეთი (65%) გერმანია (15%)
იტალია	85 301	89	1 054	ესპანეთი (82%)
რუმინეთი	62 448	33	525	საბერძნეთი (44%) თურქეთი (19%) იტალია (16%)
ჩეხეთი	57 248	43	747	ესპანეთი (70%)
შვედეთი	54 688	55	1 007	ესპანეთი (52%) მაროკო (24%)
--	--	--	--	--
ლიტვა	41 582	33	779	ესპანეთი (33%) ნიდერლანდები (24%) იტალია (12%) მაროკო (10%)
ლატვია	14 334	12	851	ესპანეთი (62%) იტალია (24%)
ესტონეთი	8 208	7	896	ესპანეთი (59%) იტალია (12%)


წყარო: ITC – Trade Map. *გაანგარიშებულია ექსპორტის მოცულობის მიხედვით.

როგორც ვხედავთ ევროკავშირში მანდარინის მომარაგება ხდება თვითონ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან (ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი), თუმცა ევროკავშირის ბაზარზე ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაროკო, თურქეთი, პერუ და სამხრეთ აფრიკა. ამას გარდა, ევროკავშირი მარაგდება კიდევ ბევრი სხვა მანდარინის მწარმოებელი ქვეყნიდან, თუმცა მათი წილი უმნიშვნელოა (ისრაელი, არგენტინა, ურუგვაი, ეგვიპტე, ჩილე, კვიპროსი, და სხვ.).

ევროკავშირში მანდარინის იმპორტიორი ქვეყნებიდან, მწარმოებლის საშუალო ფასებს თუ შევხედავთ, თურქეთი, ესპანეთი და მაროკო არიან ის ქვეყნები, რომლებსაც მანდარინის

წარმოება ყველაზე იაფი უჯდება, საშუალოდ 245-330 აშშ დოლარი/ტონა. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკასა და ისრაელს, აქ გაცილებით ძვირია მწარმოებლის ფასი და დაახლოებით ჯდება 845 \$/ტონა. საქართველოში ეს მაჩვენებელი არ ცდება 150\$/ტ.

გრაფიკი 16: მანდარინის მწარმოებლის ფასი



წყარო: FAOSTAT (25.03.2018)

10.1. საქართველო და ევროკავშირი

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადებამ³², საშუალება მისცა ქართულ პროდუქციას, რომ საბაჟო ტარიფების გარეშე მოხვდეს მსოფლიოს ყველაზე მსყიდველობითუნარიან ბაზარზე, თუმცა არსებობს გამონაკლისები ზოგიერთ პროდუქტებზე³³. მანდარინი შედის იმ 28 პროდუქტს შორის, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ფასს არის დაქვემდებარებული, რომელთა იმპორტის გადასახადის ადვალური კომპონენტი გაუქმებულია. ეს გულისხმობს, რომ ევროკავშირში მანდარინის იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარი არის დადგენილი, რომელზეც ქვემოთ დეტალურად მოგახსენებთ.

იმისათვის, რომ მანდარინის ექსპორტიორებმა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სრულად გამოიყენონ, მათი პროდუქცია ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ევროპასთან ვაჭრობით დაინტერესებულ პირებს, ევროკავშირი დამხმარე პორტალს სთავაზობს³⁴, ისევე როგორც საქართველო³⁵.

მანდარინი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა იმ შემთხვევისა³⁶, როდესაც, ქართული მანდარინის საინვოსო ფასი ნაკლებია ევროკავშირის მიერ

³² <http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>

³³

<http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20II.pdf>

³⁴ <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>

³⁵ <http://www.dcfta.gov.ge/>

³⁶ <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20II.pdf>

დადგენილ ფიქსირებულ ფასზე³⁷. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორი დაიბეგრება ფასთა სხვაობით (ცხრილი 13 დანართში).

თუმცა, ევროკავშირის ქვეყნები აწარმოებენ და აწვდიან თავიანთ ბაზარს მანდარინის ერთ-ერთ სახეობას რომელსაც კლემენტინი ეწოდება. ქართულ მანდარინისგან (საცუმას ჯიშის) განსხვავებით იგი გახლავთ შედარებით უკეთესი ვიზუალის, უფრო მოტკბო და აქვს მსხვილი ქერქი.

ამდენად, ქართული მანდარინისა და ევროკავშირის კლემენტინის პირდაპირი შედარება საკმაოდ რთულია. ევროპელი მომხმარებელის გემოვნება მიჩვეულია კლემენტინზე, უფრო ტკბილი ციტრუსის მოხმარებაზე. თუმცა, რამდენადაც ევროპაში შაქრის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ქართულ მანდარინს (საცუმას) შესაბამისი მარკეტინგული კამპანიითა და ასევე ვიზუალური მხარის გაუმჯობესების გათვალისწინებით, შესაძლებლობა აქვს რომ უფრო ღრმად მოიკიდოს ფეხი ევროკავშირის ბაზარზე.

2017 წელს, ევროკავშირის მხოლოდ 2 ყვეყანაში გავიდა ქართული მანდარინი, ორივეგან ძალიან მცირე რაოდენობით, პოლონეთში 20 ტონა და ლიტვაში 3 ტონა. პოლონეთის მაგალითის შესწავლამ გამოავლინა, რომ თვითონ ევროკავშირში შეტანის პროცედურები რთული არ არის, სხვა ქვეყნებთან შედარებით (მანდარინის ტრადიციული ბაზრები, რუსეთი, უკრაინა), პოლონეთმა მოითხოვა მძიმე მეტალებზე შემოწმების დამადასტურებელი საბუთი, რაც საქართველოში შესაძლებელია აღება და ძვირიც არ ჯდება (სადაც 150-200 ლარი ერთ კონტეინერზე). გაგზავნილი ნაყოფი იყო სტანდარტული ხარისხის, საშუალოდ 50 მმ დიამეტრის (ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, ზომის კოდით 4 ან 5), პლასტმასის ყუთებში შეფუთული ისე როგორც ამას ევროკავშირის სტანდარტი მოითხოვს. ტრანსპორტირებისათვის ბათუმიდან ბორანით უკრაინაში გადავიდა, შემდგომ კი მაცივარ-მანქანით უკრაინის გავლით ვარშავაში ჩავიდა. მგზავრობას საშუალოდ ჭირდება 7-10 დღე (დამოკიდებულია შავ ზღვაში შტორმზე), საკმაოდ ნორმალური დროა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ დაცული ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში, ქართული მანდარინი კარგად ინახება მინიმუმ 20-21 დღე.

რაც შეეხება ევროკავშირში მანდარინის შეტანის გადასახადს, პოლონეთის შემთხვევას თუ დავეყრდნობით, მოსაკრებლისგან განთავისუფლებულია, თუმცა საბაჟო გადასახადის გადახდა უწევს ისე, როგორც ეს დადგენილია შესაბამისი ნორმების მიხედვით (ევროკავშირში მანდარინის იმპორტის დეტალური მოთხოვნები იხილეთ დანართი 7-ში).

დიაგრამა 4: დამატებული ღირებულება ჯაჭვში როდესაც მანდარინის ექსპორტი ხორციელდება პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში

³⁷ <http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement> ,
<http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/eu4b/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%94%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A11%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>



ღირებულებათა ჯაჭვის რგოლი	ბაყიდული ღირებულება (ლარი)	დანახარჯი (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)	დამატებული ღირებულება (%)	მოგება (%)
	0.35					
ფერმერი	0.65	0.35	0.30	0.30	12%	25%
შუამავალი	1.10	0.90	0.20	0.45	18%	17%
ექსპორტიორი	2.20	1.90	0.30	1.10	45%	25%
საცალოდ მოვაჭრე	2.80	2.40	0.40	0.60	24%	33%
ჯამი			1.20	2.45		

წყარო: ავტორების გაანგარიშება, გამოკითხვებისა და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევა მანდარინის წარმოებასა და ექსპორტის ლოჯისტიკაზე (2017)³⁸.

ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრებისათვის ფასი შეიძლება არ იყოს მთავარი ფაქტორი კონკურენციაში წარმატების მისაღწევად, არამედ მთავარი გახლავთ მომხმარებლისათვის ქართული მანდარინის გაცნობა, მისი კლემენტინისგან განსხვავებით შედარებით მჟავე გემოს საჭიროა რომ მიეჩვიოს მომხმარებელი. ამ ყველაფერს კი დაჭირდება დიდი მარკეტინგული ძალისხმევა.

³⁸ „მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება“. დამკვეთი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემსრულებელი: IBERGES Consulting (2017).

11. მთავარი მონაწილეები და მათი ურთიერთობები

11.1. ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ჰორიზონტალური კავშირები

ინტერვიუების დროს მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში ჰორიზონტალური დონეზე გამოვლინდა შემდეგი კავშირები (ცხრილი 8).

ცხრილი 8: კავშირები ჰორიზონტალურ დონეზე ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა შორის

კავშირი	კავშირის აღწერა
ნედლეულის მიმწოდებლებს შორის	საქართველოში ბოლო პერიოდში აგრო-სერვისების მიწოდება საკმაოდ გაზრდილია. ასევე აჭარის რეგიონშიც, სადაც 26 აგრო-სამუშაოების სარეალიზაციო ქსელი არსებობს. რაც იწვევს მათ შორის კონკურენციის გამძაფრებას ფასისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. ცალკე აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოს მიერ ექსტენციის მომსახურების შესყიდვა, რომელიც ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს.
ფერმერებს შორის	აღსანიშნავია, რომ დიდი რაოდენობით მანდარინის წარმოება აჭარაში თავმოყრილია ახლომდებარე მუნიციპალიტეტებში (ქობულეთი და ხელვაჩაური), რაც ფერმერების თანამშრომლობას ხელს უწყობს. თუმცა, ფერმერები ნაკლებად არიან გაერთიანებული კოოპერატივებსა თუ ასოციაციებში, რაც გაზრდიდა ფერმერთა თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით (ცოდნის გაზიარება, აქტივების გაერთიანება, ერთობლივი შესყიდვები ან მარკეტინგი და ა.შ.)
შუამავლებს (ბითუმად მოვაჭრებს) შორის	რეგიონში მრავლად არიან შუამავლები (შემგროვებელი, დამხარისხებელი) მოსავლის აღების პერიოდში, თუმცა მანდარინის გასაღება მაინც გამოწვევად რჩება (ხშირად ასეთი პუნქტების სიშორის, მანდარინის გადარჩევისა და დაბალი ფასის გამო). შუამავლებს შორის კონკურენცია არსებობს, ვინაიდან ფერმერისთვის მათ მიერ შეთავაზებული ფასები და ხარისხი დიდად არ განსხვავდება. რაც შეეხება არასტანდარტული, დაბალი ხარისხის მანდარინის გადამუშავებას, აქ ბოლო წლებია ორი მსხვილი კომპანია მუშაობს და ფასების დაწესებაზეც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ (ეს ბაზარი ისედაც სუბსიდირებულია, და შესაბამისად ხდება სახელმწიფო ჩარევა).

სამაცივრე / შემნახველი მეურნეობებს შორის	რეგიონში რამდენიმე კაპიტალური სამაცივრე მეურნეობა და კიდევ უფრო მეტი კუსტარული (ოჯახის პირობებში, სარდაფებში მოწყობილი) სამაცივრე მუშაობს. მათ შორის თანამშრომლობა არც თუ ისე მჭიდროა, თუმცა არის თანამშრომლობის ცალკეული შემთხვევები.
ექსპორტიორებს შორის	ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით ხდება მანდარინის ძირითადი ექსპორტი საქართველოდან. ამ პერიოდში დაახლოებით 30 ექსპორტიორი მუშაობს აჭარაში და მათ შორის კონკურენცია არსებობს. თანამშრომლობა მათ შორის ფაქტიურად არ ხდება, ან თუ ხდება იშვიათად.
გადამამუშავებლები / საკონსერვო ქარხნებს შორის	რეგიონში არსებობს ორი მსხვილი გადამამუშავებელი კომპანია, რომლებიც არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავების შემდეგ მანდარინის კონცენტრატს აწვდიან საექსპორტო ბაზრებს, ასევე მცირე რაოდენობით ქართულ საკონსერვო ქარხნებს. გადამამუშავებელ ქარხნებს შორის თანამშრომლობა ნაკლებია, ისევე როგორც საკონსერვო ქარხნებს შორის.
საცალოდ მოვაჭრეებს შორის	საცალოდ მოვაჭრეების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, დაწყებული ღია ბაზრობებით, დამთავრებული ქალაქებში არსებული მინი, სუპერ და ჰიპერმარკეტებით. როგორც წესი ამ უკანასკნელში ფასი შედარებით მაღალია.
მომხმარებლებს შორის	საქართველოში მანდარინი საკმაოდ პოპულარლი ხილია მოხმარების თვალსაზრისით. იგი ასოცირდება ახალ წელთან და მომხმარებლები მრავლად იძენენ და მოიხმარენ. იშვიათად ხდება მანდარინის გადამამუშავებული პროდუქტის მოხმარება საქართველოში.

11.2. ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ვერტიკალური კავშირები

კვლევის დროს მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში ვერტიკალური დონეზე გამოვლინდა შემდეგი კავშირები, რომელიც შეჯამებულია ქვემოთ (ცხრილი 9).

ცხრილი 9: კავშირები ვერტიკალურ დონეზე ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა შორის

კავშირი	კავშირის აღწერა
ნედლეულის მომწოდებლებს, სამუშაო ძალასა და ფერმერებს შორის	აგრო-სამუშაოებებზე და სერვისებზე ხელმისაწვდომობა იზრდება ფერმერთა აზრით, თუმცა ხშირად აღნიშნავენ შემცირებულ საქონელსა თუ მომსახურების ფასებისა და ხარისხის შეუსაბამობას. კვალიფიციური კონსულტაცია მანდარინის მოვლა-მოყვანაზე კვლავ გამოწვევად რჩება რეგიონში.

	<p>რაც შეეხება მუშა ხელს, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში, მათზე კონკურენცია გამაფრებელია, თუმცა არსებობს გარკვეული ჯგუფები რომლებიც აკეთებენ მუშა ხელის ორგანიზებას და ფერმერებისთვის მიწოდებას.</p> <p>აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი, 2011 წლიდან ფუნქციონირებს და ახდენს მანდარინის 30-მდე ახალი ჯიშის გამოცდას და ფერმერებისათვის რეკომენდაციის მიცემას.</p>
<p>ფერმერებსა და შუამავლებს შორის</p>	<p>ფერმერებსა და შუამავლებს შორის კავშირების უმეტესობა არის არაფორმალური და არ ემყარება რაიმე სახის ხელშეკრულებას (კონტრაქტს). ფერმერების უმეტესობას არ აქვს სტაბილური კავშირი შუამავლებთან და თავის ნაწარმს ყიდის სხვადასხვა შუამავლებზე.</p>
<p>შუამავლებსა და ექსპორტიორებს შორის</p>	<p>შუამავლებსა და ექსპორტიორს შორის ფორმდება ხელშეკრულება და ცდილობენ რომ სახელშეკრულებო პირობების შესრულება მოხდეს. შუამავლები, როგორც წესი, რამდენიმე ექსპორტიორთან ერთად მუშაობენ.</p>
<p>გადამამუშავებელ ქარხნებსა და საკონსერვო ქარხნებს შორის</p>	<p>გადამამუშავებელ ქარხნებსა და საკონსერვო ქარხნებს შორის ურთიერთობები ფორმალიზებულია, თუმცა კონცენტრატის შესყიდვის რაოდენობა ძალიან მცირეა.</p>
<p>შუამავლებსა და საცალოდ მოვაჭრეებს შორის</p>	<p>ამ კავშირის ფორმალიზება დამოკიდებულია საცალოდ მოვაჭრის ტიპზე, თუ ვაჭრობა ღია ბაზრობებზე ხდება, როგორც წესი არაფორმალურია შეთანხმება. ხოლო მინი-სუპერ და ჰიპერმარკეტებში შეთანხმებები ფორმალიზებულია (კონტრაქტის სახით) და მხარეები ცდილობენ რომ პირობები დაიცვან.</p>
<p>საცალო მოვაჭრეებსა და მომხმარებელს შორის</p>	<p>ბაზრებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს ქალაქებშიც და სოფლადაც. სხვა საცალო ვაჭრობის ობიექტებთან შედარებით ბაზარში ფასი უფრო დაბალია, რაც მომხმარებელთა გარკვეული სეგმენტისთვის არის გადამწყვეტი. გარდა ამისა არსებობს მომხმარებელთა კატეგორია, ვინც მიიჩნევს, რომ ბაზარში შეძენილი საკვები პროდუქტი არის უფრო ჯანსაღი და ნატურალური.</p> <p>სუპერმარკეტები სთავაზობენ მომხმარებელს კომფორტულ გარემოს საკვების შესაძენად და შესაბამისად უფრო მაღალ ფასს ვიდრე საცალო მოვაჭრეები ბაზარში. როგორც წესი სუპერმარკეტებს სხვა სამიზნე აუდიტორია ჰყავთ, რომელიც მზადაა უფრო მაღალი ფასი გადაიხადოს.</p>

12. აჭარაში მანდარინის სექტორის „SWOT“ ანალიზი

აჭარაში მანდარინის სექტორის ანალიზმა დაგვანახა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც SWOT-ის სახით წარმოდგენილია ქვემოთ (ცხრილი 10).

ცხრილი 10: აჭარაში მანდარინის სექტორის „SWOT“ ანალიზი



13. დასაქმებისა და შემოსავლების გენერირების პოტენციალი მანდარინის სექტორში

13.1. დასაქმების პერსპექტივები

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, აჭარაში არსებობს დაახლოებით 24 ათასი ფერმერის ოჯახი, რომლებიც საშუალოდ 0.20 ჰა მანდარინის პლანტაციას ფლობენ. ამათგან უმრავლესობისთვის მართალია მანდარინის ბაღების მოვლა-პატრონობა არ წარმოადგენს დასაქმების ძირითად ადგილს, თუმცა მას საკმაოდ დროს უთმობენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მანდარინის მწარმოებელ სოფლებში დასაქმების ალტერნატიული წყაროები ჭირს და მოსახლეობის დიდი ნაწილი სეზონურად თურქეთში დადის სამუშაოდ (მათ შორის ახალგაზრდების დიდი ნაწილი). ამ ოჯახების გარდა, მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში სეზონურად დასაქმებულია უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით მოსავლის აღება-დაბინავებისას, როდესაც მუშა ხელის დღიური ანაზღაურება შეადგენს 20-დან 30 ლარამდე.

13.2. შემოსავლების გენერირება

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ფერმერთა უმეტესობა შემოსავალს სხვადასხვა წყაროებიდან იღებს, რადგან მცირე და საშუალო ფერმერების საქმიანობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია და ისინი შემოსავალს როგორც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროდან (მემცენარეობიდან თუ მეცხოველეობიდან), ასევე ეკონომიკის სხვა დარგებიდან იღებენ. თუმცა მანდარინის გასაღებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს საშუალოდ შინამეურნეობის მთლიანი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების დაახლოებით 10%-15%-ს³⁹ მანდარინის პლანტაციების მფლობელი ოჯახებისათვის⁴⁰, განსაკუთრებით ახალი წლის პერიოდში. პლანტაციების მფლობელი ოჯახების გარდა, მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვში სეზონურად დასაქმებულია და შესაბამისად შემოსავლებს იღებს უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით მოსავლის აღება-დაბინავებისას, დახარისხების და საექსპორტოდ მომზადებისათვის.

უხეში გაანგარიშებით, აჭარის რეგიონი ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 მილიონ ლარს იღებს მანდარინის სექტორიდან. ეს კი აჭარის აგრო-სასურსათო პროდუქციის (პირველადი წარმოება და გადამამუშავება) დაახლოებით 15-20%-ს წარმოადგენს, მაგრამ ყოველწლიურად აჭარაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 1.5%-ს ვერ ცდება.

აქედან გამომდინარე დარგის განვითარება, რის საშუალებასაც ბაღების უკეთესი მოვლა, განახლება, ახალი ჯიშების დარგვა და პროდუქტიულობის ამაღლება, მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი და მაღალი ღირებულების სეგმენტზე/ბაზრებზე გასვლა მოიტანს, ნიშნავს კიდევ უფრო მეტ შემოსავალს ამ სექტორში ჩართული ყველა რგოლისა და ზოგადად აჭარის რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის.

³⁹ საქსტატის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე აჭარაში შეადგენს 992.6 ლარს (სამწუხაროდ სოფლის და ქალაქის დონეზე ჩამოილილი მონაცემები არ არსებობს).

⁴⁰ მანდარინის მფლობელი საშუალო ფერმერული მეურნეობისათვის (0.20 ჰა პლანტაციით და მასზე მოკრეფილი საშუალოდ 2 ტონა მანდარინის მოსავლით), მანდარინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 900-1200 ლარს.

14. დისკუსია და რეკომენდაციები

14.1. მანდარინის სექტორის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები

მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავეყოთ: წარმოების, მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების (მანდარინის მიღება-დახარისხება, შენახვა და გადამუშავება) და გასაღებასთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები.

14.1.1. წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორები

მანდარინის წარმოების კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ გადაბერებული პლანტაციები (მინიმუმ მთლიანი რაოდენობის 1/3), რაც საჭიროებს განახლებას და ახალი ჯიშებით ჩანაცვლებას. ასევე, არ ხდება პლანტაციების შესაბამისი მოვლა, რაც იწვევს დაბალხარისხიან (მათ შორის არასტანდარტული მანდარინის მაღალ წილს) მოსავალსა და ამასთანავე საჰექტარო მოსავლიანობის სიმცირეს. მოსავლის უხარისხობას ასევე განსაზღვრავს როგორც ბუნებრივი მოვლენები (სეტყვა, ყინვა, ჭარბი ნალექი), ასევე დაავადებებთან ბრძოლის არასათანადო ცოდნა, ფინანსების ნაკლებობა და შესაბამისად მკურნალობის არასათანადო დაგეგმვა-განხორციელება. მანდარინის პლანტაციისთვის ახალი გამოწვევა არის მავნებელი აზიური ფაროსანა, რომელმაც გასულ წელს დიდი გავლენა ვერ იქონია, რადგან შემოდგომაზე მალევე აცივდა და სანამ მანდარინი მწიფობის სტადიაში შევიდოდა ფაროსანა თითქმის უკვე მიძინების სტადიაში იყო. მიუხედავად ამისა, იგი რჩება მანდარინისათვისაც საფრთხედ მიმდინარე და მომდევნო წლებში (ამ კუთხით სამინისტრო 3200 ერთეული ბალის მობილური შესასხურებელი აპარატების გადაცემას გეგმავს ფერმერებისათვის, რათა სათანადოდ ებრძოლონ ფაროსანას).

კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი უკავშირდება კვალიფიციურ სამუშაო ძალას. მწირია მანდარინის ბაღების მოვლის თანამედროვე მიდგომების ცოდნა რეგიონში. ამ კუთხით, USAID-ს პროექტმა „ეკონომიკური განვითარების ინიციატივა“ (EPI) გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, თუმცა ფერმერთა უმეტესობის ინტერესი დაბალია, რომ თანამედროვე მიდგომები გაითვალისწინონ.

ფერმერთა ძალიან მცირე რაოდენობა მისდევს ინტენსიური და ნახევრად-ინტენსიური ბაღების გაშენებას (თუმცა ამ კუთხით აქტიურდება აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები, კერძოდ: ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი ახორციელებს ქვეპროგრამას „აგრარული ექსტენციის მიწოდება“, რომელიც მოიცავს ასევე ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე ციტრუსის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების სწავლების საკითხებს სავლე პირობებში აგოფაზების შესაბამისად), არადა არსებული ექსტენსიური ბაღების დიდი ნაწილი დაბალმოსავლიანია. ამასთანავე, საადრეო ჯიშების ნაკლებობა იწვევს იმას, რომ ქართული მანდარინი ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე თვე გვხვდება (როცა ფასი ყველაზე დაბალია), დანარჩენ პერიოდში კი იმპორტირებული მანდარინი შემოდის და მაღალ ფასდაც იყიდება.

14.1.2. მოსავლის აღების შემდგომი სამუშაოების ხელისშემშლელი ფაქტორები

მანდარინის მოკრეფის შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მისი დროულად შენახვა სათანადო პირობებში, რადგან მალფუჭებადი პროდუქტია. რამდენადაც სამაცივრე მეურნეობების მცირე რაოდენობა არსებობს რეგიონში, ვერ ხდება დროულად და სათანადოდ მანდარინის შენახვა-გაციება, რაც საბოლოოდ ამ პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. უფრო მძიმე სიტუაციაა კუსტარულ სამაცივრეებში, სადაც ვერ ხდება ტემპერატურული პირობების დაცვა.

მართალია არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავება ხდება ქვეყანაში, და მიღებული კონცენტრატი უმეტესად გადის ექსპორტზე, ისევე როგორც მცირე რაოდენობით ადგილობრივი უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანიები და საკონსერვო ქარხნებიც გამოიყენებენ, მაგრამ მანდარინის გადამამუშავებული პროდუქციის სიმცირე შეინიშნება ქართულ ბაზარზე. შესაძლებელია მაგალითად ჯემების, ჩირის, მარმელადის და კონიაკის წარმოებაც (ჩირისა და კონიაკის დამზადება დაიწყო კიდეც აჭარაში). თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ გადამამუშავებელ ინდუსტრიაში დაბალი ხარისხის და შესაბამისად დაბალი ფასის მანდარინი გამოიყენება, რომლის წარმოებაც ფერმერებისათვის ნაკლებად მომგებიანია (ან სულაც წამგებიანი). ამიტომ უმჯობესია ცოცხალი მანდარინის სათანადოდ დაბინავება-შენახვის ინფრასტრუქტურის შექმნაზე აქცენტის გაკეთება.

14.1.3. გასაღების ხელისშემშლელი ფაქტორები

მანდარინის გასაღების მოკლე პერიოდი არსებობს, რადგან რთულია მისი დიდი ხნით შენახვა, ხოლო გადამამუშავებელი საწარმოებში ჩაბარების ფასი დაბალია და მხოლოდ არასტანდარტული მანდარინის შემთხვევაში არის ფერმერისათვის გამართლებული.

გასაღების ბაზრები დაბალი დივერსიფიკაციით ხასიათდება და უმეტესწილად ორ ბაზარზე ვართ დამოკიდებული - რუსეთი და უკრაინა. რუსეთის ბაზარი რომ არასტაბილურია, რამდენადაც არსებობს საფრთხე, რომ სხვადასხვა სარჩულით შესაძლოა დააწესოს ემბარგო (რისი გამოცდილებაც გვაქვს 2006-2013 წლებში), ამდენად მნიშვნელოვანია რომ გააქტიურება მოხდეს ახალი ბაზრების ასათვისებლად, რათა მოხდეს ასეთ ბაზრებზე გასვლა და იქ თავის დამკვიდრება.

გასათვალისწინებელია ექსპორტზე გატანილი მანდარინის ხარისხის კონტროლი, რამდენადაც ხდება შემთხვევები რომ დასაშვებ ნორმაზე ბევრად მეტი არის ხოლმე იმ სტანდარტის, რასაც შემყიდველი ითხოვს⁴¹.

ასათვისებელია ევროკავშირის ბაზარი, რამდენადაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ქართულ მანდარინს რომ გავიდეს ამ ბაზარზე, რომელიც მაღალი მსყიდველობითუნარიანობით გამოირჩევა. სამწუხაროდ, ჯერ სტანდარტების დაკმაყოფილება, ლოჯისტიკური არხების გაჭრა და მარკეტინგული კამპანია მასიურად ვერ ხერხდება, რაც არაკონკურენტუნარიანს ხდის ქართულ მანდარინს რომ ასეთ ბაზრებზე წარმატებას მიაღწიოს.

⁴¹ Livny, E., Maximov, A., (2017). Identifying sectoral priorities in Georgian agriculture.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ქვეყნები აწარმოებენ და აწვდიან თავიანთ ბაზარს მანდარინის იმ სახეობას რომელსაც კლემენტინი ეწოდება. ქართული მანდარინისგან (საცუმას ჯიშის) განსხვავებით იგი გახლავთ შედარებით უკეთესი ვიზუალის, უფრო მოტკბოა და აქვს მსხვილი ქერქი.

ამდენად, ქართული მანდარინისა და ევროკავშირის კლემენტინის პირდაპირი შედარება საკმაოდ რთულია. ევროპელი მომხმარებლის გემოვნება მიჩვეულია კლემენტინზე, უფრო ტკბილი ციტრუსის მოხმარებაზე. თუმცა, რამდენადაც ევროპაში შაქრის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ქართულ მანდარინს (საცუმას) შესაბამისი მარკეტინგული კამპანიითა და ასევე ვიზუალური მხარის გაუმჯობესების გათვალისწინებით, შესაძლებლობა აქვს რომ ღრმად მოიკიდოს ფეხი ევროკავშირის ბაზარზე.

14.2. რეკომენდაციები

იმისათვის რათა ზემოთ დასახელებულ გამოწვევებს დარგი გაუმკლავდეს და თან სწრაფად განვითარდეს საჭიროა კომპლექსური მიდგომა ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის გაძლიერების კუთხით.

საჭიროა რომ მოხდეს **არსებული პლანტაციების განახლება**, საადრეო ჯიშების გაშენება, ასევე პლანტაციების პროდუქტიულობის გაზრდა, მისი მოვლა-მოყვანის ღონისძიებების გაუმჯობესებით. სასურველია **სადემონსტრაციო ნაკვეთების** ბაზაზე მოხდეს ფერმერთა აქტიური ჩართვა აგრო-ტექნოლოგიის უკეთ გაცნობის მიზნით, რომ ისწავლონ და დანერგონ ის თანამედროვე მიდგომები, რაც გავრცელებულია მანდარინის მწარმოებელი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკით. ეს ფერმერებს საშუალებას მისცემს უკეთ გაეცნონ და შეისწავლონ მანდარინის მწარმოებელ მოწინავე ქვეყნებში კარგად აპრობირებული თანამედროვე მიდგომები.

USAID-ის პროექტის ექსპერტების მიხედვით, არსებული ბაღების სწორად მოვლით (გაუმჯობესება გასხვლაში, სასუქების შეტანასა და მცენარის დაცვაში), მოსავლიანობა შეიძლება 300%-მდეც კი გაზარდოს ფერმერმა არსებულ პლანტაციებში⁴². ამის განხორციელებას დაჭირდება **კარგი ექსტენციის მუშაობა**, რაც დამყარებული უნდა იყოს პრაქტიკულ სწავლებაზე. აქ რეკომენდირებულია სახელმწიფოს დახმარება, რათა მოიძებნოს შესაფერისი კადრი, სათანადოდ გადამზადდეს (შესაძლოა საზღვარგარეთ, მაგ: თურქეთში) რათა მოგვიანებით სადემონსტრაციო ნაკვეთებში ფერმერებს ჩაუტარონ შესაბამისი სწავლებები.

გადაბერებული ნარგავების ჩანაცვლებისათვის, ასევე საადრეო ჯიშების დარგვისათვის (რათა გახანგრძლივდეს მოსავლის აღების სეზონი, რაც საშუალებას მისცემს ფერმერს შედარებით მაღალ ფასში გაყიდოს თავისი პროდუქცია), რეკომენდირებულია რომ უკვე **გამოცდილი ჯიშის ნერგების რაოდენობა გაზარდოს აგროსერვისცენტრმა**, რათა უფრო სწრაფად მოხდეს ნარგავების განახლება (ამჟამინდელი ნერგების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია და ყოველწლიურად მხოლოდ ფერმერთა მცირე რაოდენობას შეუძლია

⁴² Steve Goss (2014). Ajara agriculture sector competitiveness and export promotion policy study. Financed by UNDP and EU's ENPARD project.

ისარგებლოს სახელმწიფო პროგრამებით, რომლებიც ეხმარება ახალი ჯიშებით და ინტენსიური თუ ნახევრად-ინტენსიური ბაღების გაშენებაში).

აღსანიშნავია ასევე მაღალი ღირებულების მქონე მანდარინის ბაღების გაშენების შესწავლა და შემდგომ დანერგა (მაგ: ბიო). მნიშვნელოვანია მანდარინის ბაღებში აგროტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურისტების მოზიდვა დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით. ეს ერთგვარი პასუხი იქნება იმ ტურისტული ნაკადების ზრდისა რასაც აჭარა და მთლიანი საქართველო ბოლო პერიოდია განიცდის.

სამაცივრე მეურნეობებისა და ჩამბარებელ-დამხარისხებელი პუნქტების განვითარებისათვის რეკომენდირებულია რომ ფერმერებმა იფიქრონ კოოპერატივების შექმნასა და განვითარებაზე, რათა ღირებულებათა ჯაჭვში, როგორც ჰორიზონტალურ დონეზე განვითარდნენ (ფერმერების ერთმანეთთან თანამშრომლობით), ასევე ვერტიკალურად ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი განავითარონ, რაც მათ საშუალებას მისცემს მეტი დამატებული ღირებულება შექმნან (შესაძლებელია მანდარინის დაკალიბრება-შენახვა-სასაწყობო მეურნეობის განვითარება და შუამავალი რგოლის გარეშე ექსპორტიორებთან პირდაპირ თანამშრომლობა ან პირდაპირ საკუთარი ძალებით ექსპორტზე გატანაც). ამასთანავე, შესაძლებელია ასეთ გაერთიანებებში უკვე არსებული მოთამაშეების (ფერმერები, შემგროვებლები, ექსპორტიორები) გაერთიანება ძლიერი ვერტიკალურად ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოსაყალიბებლად.

სეზონის გახანგრძლივებისათვის მნიშვნელოვანია შემნახველი სამაცივრე მეურნეობების განვითარება რეგიონში. ეს შესაძლებელია ფერმერთა გაერთიანებების ჩამოყალიბებით. ზოგადად, მანდარინში კოოპერატივების (ან ფერმერთა სხვა ფორმით გაერთიანებების, მაგ: ასოციაცია) ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება ფერმერებისათვის სხვადასხვა მომსახურების მიწოდებაზე, გაზრდის ფერმერთა საბაზრო ძალაუფლებას პროდუქციის გაყიდვისას. ასევე, კოოპერატივების ქუდის ქვეშ შესაძლებელია აგრო-საშუალებებისა და ექსტენციის სერვისის ერთობლივი შექმნა, რამაც შესაძლოა მცირე ფერმერებს მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობა მისცეს.

ბაზრების დივერსიფიკაციაზე უნდა მოხდეს აქცენტის გაკეთება, რომ ქვეყანა არ იყოს მარტო რუსეთის ბაზარზე დამოკიდებული, ბაზარზე რომელიც ძნელად პროგნოზირებადია და მაღალ მარკეტინგულ რისკებს შეიცავს. ამ კუთხით შესასწავლი და მოსაძიებელია ის ქვეყნები, სადაც შეიძლება ქართული მანდარინის ექსპორტი (გასათვალისწინებელია თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობებიც რიგ ქვეყნებსა თუ ქვეყნების გაერთიანებებთან).

ერთეული შემთხვევები არსებობს ევროკავშირის ბაზარზე ქართული მანდარინის შეტანის. ამ მიმართულებით საჭიროა მხარდაჭერა, რათა მეტი ექსპორტიორი და ევროპელი მომხმარებელი დაინტერესდეს ქართული მანდარინით. როგორც ვნახეთ, საფასო უპირატესობა გააჩნია ქართულ მანდარინს სხვა კონკურენტებთან შედარებით (მაგ: თურქეთი), მაგრამ საჭიროა ერთის მხრივ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და სტანდარტების დაკმაყოფილება, თუმცა ამასთანავე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქართული მანდარინის (საცემას ჯიშის) გაცნობა მოხდეს ევროპელი მომხმარებლისათვის. ქართული მანდარინის როგორც ნატურალური პროდუქტის პოზიციონირება უნდა მოხდეს, რომელიც ასევე ნაკლებად შეიცავს შაქარს (კლემენტინისგან განსხვავებით) და ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა ვიდრე ევროპაში კარგად დამკვიდრებული

კლემენტინი. ფორუმებსა და გამოფენებში **ქართული მანდარინის დეგუსტაცია** და დადებითი თვისებების გაცნობა ევროპელი მომხმარებლისათვის მეტ ყურადღებას საჭიროებს როგორც სახელმწიფო, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფით.

საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტებში **ქართული მანდარინის პოპულარიზაციის ღონისძიებების** დაგეგმვა-განხორციელებაც ხელს შეუწყობს ამ პროდუქტის პოპულარიზაციას (ისეთი როგორც არის მაგალითად ციტრუსის ფესტივალი, რომლის პოპულარიზაციისა და მასშტაბების გაზრდა მნიშვნელოვანია).

იმისათვის, რათა მანდარინის სექტორმა და მისმა ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებმა ეფექტიანად იმუშაოს, აუცილებელია მოხდეს ცოდნის ამაღლება თანამედროვე მეთოდებითა და მიდგომებით. რეგიონში არსებულ უნივერსიტეტსა თუ კოლეჯებში უნდა მოხდეს მანდარინის მოყვანა-შენახვა-გადამუშავების სპეციალობების/კურსების გაძლიერება, რომელიც უნდა დაეფუძნოს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას. **ახალგაზრდა ფერმერებისათვის სტიმულის შექმნის** მექანიზმების ძიება არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი, რომ დარგის გაახალგაზრდავება მოხდეს (მაგ: სპეციალური წამახალისებელი პროგრამები ახალგაზრდა მეციტრუსე ფერმერებისათვის). ზოგადად, მეციტრუსეობის განვითარების პოლიტიკა უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ფერმერთა ისეთ ჯგუფებზე, რომლებსაც გააჩნიათ უნარი და მზად არიან, რომ თანამედროვე მიდგომები და სიახლეები გამოიყენონ და ამით გაზარდონ პროდუქტიულობა. ასეთ ფერმერებზე აქცენტის გაკეთება ასევე ხელს შეუწყობს პლანტაციების გამსხვილებას და სამომავლოდ მასშტაბის ეკონომიის მიღწევას.

ბიბლიოგრაფია

1. აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2016-2021.
2. გაბრიჩიძე, ზ. (2015). ციტრუსების აგროტექნოლოგია. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. რედაქცია: აგრონიუსი.
3. ლეკვეიშვილი ი., ციტრუსოვანი წარმოების მეცნიერული საფუძვლები, ნაწ., 1, თბ., 1978;
4. მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება (2017). დამკვეთი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემსრულებელი: IBERGES Consulting.
5. მახარაძე, ზ. დარგვა, მოვლა-მოყვანა, ბალის გაშენება. აგროსერვის ცენტრი. რედაქცია: აგროკავკაზია.
6. ჯაბნიძე, რ. მანდარინის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია.
7. Livny, E., Maximov, A., (2017). *Identifying sectoral priorities in Georgian agriculture.*
8. Steve Goss (2014). *Ajara agriculture sector competitiveness and export promotion policy study. Financed by UNDP and EU's ENPARD project.*

ინტერნეტ წყაროები:

1. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრი: <http://agrosc.ge/greenhouse.php?id=2&lang=ge>
2. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო: <http://adjara.gov.ge/Branches/description.aspx?gtid=608538&gid=4#.WsUEVohuZnl>
3. გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა (www.faostat.org)
4. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ დახმარების პორტალი: <http://www.dcfta.gov.ge/>
5. ევროკავშირთან ვაჭრობის დახმარების პორტალი: <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>
6. ლივნი, ე., დარჩიძე, გ., კოჭლამაზაშვილი, ი. (2015). ქართული მანდარინები. ISET ეკონომისტის ბლოგი (<http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-a5-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-97-e1-83-a3-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-9b-e1-83-90-e1-83-9c-e1-83-93-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-94-e1-83-91-e1-83-98>)
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)
8. საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა (www.trademap.org)
9. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (www.apma.ge)
10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (<http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>)
11. ციტრუსის შტაბი (<http://citrus.moa.ge/index-ge.html>)

დანართები

დანართი 1. პროდუქტის შერჩევა

პროდუქტის შერჩევის რამდენიმე კრიტერიუმი გამოიკვეთა, რომლებიც დაიყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპის კრიტერიუმები შესაბამისი წონებით ასე გადანაწილდა: პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე (წონა - 35%), იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ადგილობრივ ბაზარზე (წონა - 25%), ღირებულებათა ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი (წონა - 20%) და აჭარის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება (აგრო-კლიმატი და სხვ., წონა - 20%). შეფასება გაკეთდა 1-და 5-მდე ქულის დაწერით ცალკეულ პროდუქტზე თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, სადაც 1 იყო ყველაზე დაბალი, ხოლო 5 - ყველაზე მაღალი შეფასება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თითოეული ქულა ჯგუფის წევრებს შორის მსჯელობისა და კონსენსუსის სახით დაიწერა. პირველი ეტაპის შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 11-ში.

ცხრილი 11: პროდუქტის შერჩევა: პირველი ეტაპის შედეგები

კრიტერიუმი	კრიტერიუმი									
	კოეფიციენტი	მოცვი	ნოორი	მანდარინი	დაფნა	ხურმა	კვი	მეფრინველეობა	ჩირი	კარტოფილი
პროდუქტის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე;	0.35	4	3	3	2	2	3	1	3	1
იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ადგილობრივ ბაზარზე;	0.25	2	4	2	1	1	3	4	4	3
ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი;	0.20	3	2	4	1	2	4	3	2	3
აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინება;	0.20	2	2	5	1	2	3	2	2	3
ჯამი		2.9	2.9	3.4	1.4	1.8	3.2	2.4	2.9	2.3

პირველი ეტაპის შედეგებმა გამოავლინა ის ხუთი ძირითადი პროდუქტი, რომლებიც მეორე ეტაპზე გადავიდნენ, სადაც განისაზღვრა ორი ძირითადი კრიტერიუმი შესაბამისი კოეფიციენტებით, ესენია: დარგში უკვე ჩატარებული ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის ნაკლებობა (40%) და უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული ღირებულებათა ჯაჭვი, რაც სსო-ს წარმომადგენლებს დაეხმარებოდა ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის უკეთ შესწავლა-გამოკვლევაში (60%). ამ კრიტერიუმებსა და მათ შესაბამის წონებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა რომ აჭარაში მანდარინის სექტორის შესწავლა იყო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული, რამაც საბოლოო შეთანხმებამდე მიიყვანა მკვლევარები, რომ

მომხდარიყო მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის ჩატარება. შერჩევის მეორე ეტაპის შედეგები იხილეთ ცხრილი 12-ში.

ცხრილი 12: პროდუქტის შერჩევა: მეორე ეტაპის შედეგები.

კრიტერიუმი	კოეფიციენტი					
	მოცვი	ნიორი	მანდარინი	კვი	ჩირი	
ჩატარებული ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის ნაკლებობა	0.40	2	2	1	2	2
უკვე არსებული ღირებულებათა ჯაჭვი, რაც CSO-ებს დაეხმარება ამ საკითხის უკეთ შესწავლა-გამოკვლევაში	0.60	3	2	4	3	2
ჯამი		2.60	2.00	2.80	2.60	2.00

დანართი 2. ჩატარებული ფოკუს ჯგუფები

#	ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სტატუსი	ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სახელი, გვარი, თანამდებობა / საქმიანობა	ჩატარების თარიღი	ფოკუს-ჯგუფის მოდერატორ(ებ)ი / მკვლევარები
1	საპოლოტე ფოკუს-ჯგუფი მანდარინის სექტორის წარმომადგენლებთან	1) კუკა ბახტაძე (შემგროვებელ-ექსპორტიორი); 2) გია ჩხარტიშვილი (შემგროვებელ-ექსპორტიორი); 3) დავით მამულაძე (სამინისტროს წარმომადგენელი); 4) დათო მალაყმაძე (ციტრუსის მიმღები, ექსპორტიორი).	24/09/2017	მკვლევარები და ინსტრუქტორი
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ორთაბათუმისა და ყოროლითავის ფერმერები	1) ისმაილ ბერიძე (ფერმერი); 2) ავთანდილ ბრუნჯაძე (ფერმერი); 3) ვაჟა მაჭუტაძე (ფერმერი); 4) დავით თურმანიძე (ფერმერი);	01/11/2017	მანანა ქარცივაძე, იური სურმანიძე

	<p>5) ნუგზარ ჩხაიძე (ფერმერი);</p> <p>6) სულხან ქიქავა (ფერმერი);</p> <p>7) ნატალია ცეცხლაძე (ფერმერი);</p> <p>8) ციური შარაშიძე (ფერმერი).</p>			
3	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის ფერმერები</p>	<p>1) ილია ჭურკვეიძე (ფერმერი);</p> <p>2) კაკო ჭურკვეიძე (ფერმერი);</p> <p>3) გია შამილიშვილი (ფერმერი);</p> <p>4) დარეჯან ყურშუბაძე (ფერმერი);</p> <p>5) ჯუმბერ ჯიჯავაძე (ფერმერი);</p> <p>6) ჯუმბერ ცეცხლაძე (ფერმერი).</p>	01/11/2017	მანანა ქარცივაძე, იური სურმანიძე
4	<p>აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები</p>	<p>1) მამუკა თურმანიძე (აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი);</p> <p>2) ჯიმშერ დიასამიძე (დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი);</p> <p>3) სოსლან შერვაშიძე (სოფლის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომელი);</p> <p>4) ზურაბ ვარშანიძე (აგრარული ექსტენციის განყოფილების უფროსი);</p> <p>5) ირმა აფხაზავა (პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი);</p> <p>6) ნარგიზ ბეჟანიძე (საინვესტიციო და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი);</p> <p>7) დავით ჯაში (დარგობრივი განვითარების განყოფილების თანამშრომელი).</p>	10/11/2017	მანანა ქარცივაძე, იური სურმანიძე

დანართი 3. ჩატარებული ინტერვიუები

#	რესპოდენტის სტატუსი / საქმიანობა	რესპოდენტის სახელი, გვარი	ინტერვიუერი / მკვლევარი
1	ფერმერი	დავით ევგენიძე	მადონა ფალავანდიშვილი
2	ფერმერი	ჯიმშერ ვერულიძე	მადონა ფალავანდიშვილი
3	ფერმერი	მირიან გორგილაძე	მადონა ფალავანდიშვილი
4	ფერმერი	გოჩა გორგილაძე	მადონა ფალავანდიშვილი
5	ფერმერი	ლამარა ბაკურაძე	მადონა ფალავანდიშვილი
6	ფერმერი	მურმან დევაძე	მადონა ფალავანდიშვილი
7	ფერმერი	ნარგიზა ბასილაძე	მადონა ფალავანდიშვილი
8	ფერმერი	მალხაზ კენჭაძე	მადონა ფალავანდიშვილი
9	ფერმერი	ჯონი აბულაძე	მერი ჭელიძე
10	ფერმერი	თენგიზ ქარცივაძე	მანანა ქარცივაძე
11	შემგროვებელი	ავთო ყურშუბაძე	მანანა ქარცივაძე
12	შემგროვებელ/ექსპორტიორი და სამაცივრე მეურნეობა	ვაჟა მკურნალიძე	მანანა ქარცივაძე
13	წერგების მომწოდებელი	მირზა ყურშუბაძე	მანანა ქარცივაძე
14	აგრო საშუალებების საწარმო	მერაბ თავდგირიძე	მანანა ქარცივაძე
15	გადამამუშავებელი	ავთო ზოიძე	იური სურმანიძე
16	გადამამუშავებელი	დათო მალაყმაძე	იური სურმანიძე
17	შემგროვებელ-ექსპორტიორი და გადამამუშავებელი, შპს „TCF Georgia“	კახა შავაძე	მერი ჭელიძე
18	შემგროვებელ-ექსპორტიორი, შპს „სხალთა“	ამირან ბერიძე	მერი ჭელიძე
19	მანდარინის მომხმარებელი (ქართველი)	ლალი ისერიძე	მერი ჭელიძე
20	მანდარინის მომხმარებელი (ქართველი)	ნინი კიკნაძე	მერი ჭელიძე
21	მანდარინის მომხმარებელი (ქართველი)	ჯუმბერ ძირკვაძე	მერი ჭელიძე
22	მანდარინის მომხმარებელი (ზაგრები, ხორვატია)	ივანა ლაგინჯა	თამთა თავართქილაძე
23	მანდარინის მომხმარებელი (მიუნსტერი, გერმანია)	ოლივერ ლამერს	თამთა თავართქილაძე
24	მანდარინის მომხმარებელი (ზილინა, სლოვაკეთი)	ტომაშ დურანა	თამთა თავართქილაძე

25	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი	მამუკა თურმანიძე	მკვლევარები და ინსტრუქტორი
----	---	------------------	----------------------------

დანართი 4. საექსპორტოდ საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი⁴³

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ექსპორტიორთა მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია დამზადდეს, დამოწმდეს და გაიცეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, ფორმით: CT-1 - პრეფერენციული; ORIGIN - არაპრეფერენციული;
2. ექსპერტიზის აქტი - საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ (საქონლის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატის გაცემის საფუძველი);
3. ხარისხის სერტიფიკატი (წარმოდგენილი ლაბორატორიული კვლევის ოქმზე დაყრდნობით);
4. დეკლარაციის შევსება საქონლის ხარისხის შესაბამისობაზე (ლაბორატორიული კვლევის ოქმზე დაყრდნობით);
5. ინვოისი - (ანგარიშ-ფაქტურა);
6. ხელშეკრულება - კონტრაქტი ИНКOТEPMС 2010-ის პირობების გათვალისწინებით;
7. CMR - (სატრანსპორტო დოკუმენტი);
8. ტირ-კარნეტი - (სატრანსპორტო კომპანია);
9. ცნობა გენმოდირეგულაციის შესახებ;
10. ფიტოსანიტარული სერტიფიკატი.

⁴³ <http://citrus.moa.ge/files/doc-ge.pdf>

დანართი 5. ეკონომიკური გაანგარიშებები ფერმის ტიპის მიხედვით

ტიპური ფერმერის დანახარჯები და შემოსავლები 1 ჰექტარზე (უკვე მსხმოიარე პლანტაციის შემთხვევაში)						
პლანტაციის მოვლის ხარჯი						
აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	ხარჯი ერთეულზე	სულ (ლარი)	
გასხვლა- ვარჯის ფორმირება	თებერვალი, მარტი	ჰა	1	600	0	
კომბინირებული მინერალური სასუქი NPK		კგ	300	1.5	450	
აზოტიანი მინერალური სასუქი		კგ	500	1	500	
ორგანული სასუქი (ბიოსასუქი - მცენარის პრობიოტიკი)		ტონა	1.5		700	1050
მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ხარჯი (დამულჩვა)		კგ	4750	0.1		0
პლანტაციის თოვლის საფარისაგან (თოვლის დაფერთხვა) და სხვა არახელსაყრელი გარემო პირობებისაგან დაცვის სამუშაოები		ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი	კაც/დღე	15	30	
წამლობითი ღონისძიებები	თებერვალი, მარტი,					
მ. შ ფუნგიციდები ოთხჯერადი	მაისი, ივნისი	კგ/ლ	20	20	400	
ინსექტოკარიციდები ოთხჯერადი	აგვისტო	კგ/ლ	4	40	160	
ბიოპრეპარატები		კგ/ლ	2	50	100	
პესტიციდების შესხურება შეფრქვევა ხარჯი		ჰა	2	100	200	
გაცელვა, დამულჩვა	ივნისი-აგვისტო	ჰა	1	600		
აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯი (სულ)					2 860	
გაუთვალისწინებელი ხარჯი						
ბადის მოვლის ხარჯიდან		ჰა	100%	2%	57	

სხვა დანახარჯები					
სარწყავი წყლის გადასახადი		3ა	1	70	0
მიწის გადასახადი		3ა	1	87	0
დაზღვევა (სუბსიდირებული)		3ა	1	300	0
კრეფის ხარჯი	ოქტომბერ - ნოემბერი	კვ	12,000	0.05	0
სულ ხარჯი (ჯამი)					2 917
მოსავალი და შემოსავალი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	შემოსავალი ერთეულზე	სულ (ლარი)
მანდარინის მოსავალი და შემოსავალი	ოქტომბერ - ნოემბერი	კვ	10,000	0.55	5 500

წყარო: ინტერვიუებიდან მიღებული შედეგებიდან განახლებულია აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხარჯებისა და შემოსავლების ცხრილი.

შენიშვნა: ნული (0) სადაც არის მითითებული, ნიშნავს რომ ამ ოპერაციას ან არ ატარებენ ფერმერები, ან თვითონ აკეთებენ ამ საქმეს და ხარჯს არ ეწევიან.

საშუალო დონის ფერმერის დანახარჯები და შემოსავლები 1 ჰექტარზე (უკვე მსხმოიარე პლანტაციის შემთხვევაში)					
პლანტაციის მოვლის ხარჯი					
აგროტექნიკური ლონისძიებების ხარჯი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	ხარჯი ერთეულზე	სულ (ლარი)
გასხვლა- ვარჯის ფორმირება	თებერვალი, მარტი	ჰა	1	600	0
კომბინირებული მინერალური სასუქი NPK		ჰგ	300	1.5	0
აზოტიანი მინერალური სასუქი		ჰგ	500	1	500
ორგანული სასუქი (ბიოსასუქი - მცენარის პრობიოტიკი)		ტონა	1.5	700	1050
მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ხარჯი (დამულჩვა)		ჰგ	4750	0.1	0
პლანტაციის თოვლის საფარისაგან (თოვლის დაფერთხვა) და სხვა არახელსაყრელი გარემო პირობებისაგან დაცვის სამუშაოები	ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი	კაც/დღე	15	30	0
წამლობითი ლონისძიებები	თებერვალი, მარტი, მაისი, ივნისი აგვისტო				
მ. შ ფუნგიციდები ოთხჯერადი		კგ/ლ	20	20	400
ინსექტოკარიციდები ოთხჯერადი		კგ/ლ	4	40	160
ბიოპრეპარატები		კგ/ლ	2	50	100
პესტიციდების შესხურება შეფრქვევა ხარჯი		ჰა	2	100	200
გაცელვა, დამულჩვა	ივნისი- აგვისტო	ჰა	1	600	0
აგროტექნიკური ლონისძიებების ხარჯი (სულ)					2 410
გაუთვალისწინებელი ხარჯი					
ბალის მოვლის ხარჯიდან		ჰა	100%	3%	72
სხვა დანახარჯები					
სარწყავი წყლის გადასახადი		ჰა	1	70	70
მიწის გადასახადი		ჰა	1	87	87

დაზღვევა (სუბსიდირებული)		ჰა	1	300	300
კრეფის ხარჯი	ოქტომბერ - ნოემბერი	ჰბ	20,000	0.05	1000
სულ ხარჯი (ჯამი)					3 939
მოსავალი და შემოსავალი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	შემოსავალი ერთეულზე	სულ (ლარი)
მანდარინის მოსავალი და შემოსავალი	ოქტომბერ - ნოემბერი	ჰბ	17,000	0.55	9 350

წყარო: ინტერვიუებიდან მიღებული შედეგებიდან განახლებულია აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხარჯებისა და შემოსავლების ცხრილი.

შენიშვნა: ნული (0) ნიშნავს რომ ამ ოპერაციას ან არ ატარებენ ფერმერები, ან თვითონ აკეთებენ ამ საქმეს და ხარჯს არ ეწევიან.

ნახევრად-ინტენსიური ფერმის დანახარჯები და შემოსავლები 1 ჰექტარზე (უკვე მსხმოიარე პლანტაციის შემთხვევაში)					
პლანტაციის მოვლის ხარჯი					
აგროტექნიკური ლონისძიებების ხარჯი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	ხარჯი ერთეულზე	სულ (ლარი)
გასხვლა- ვარჯის ფორმირება	თებერვალი, მარტი	ჰა	1	600	600
კომბინირებული მინერალური სასუქი NPK		ჰბ	600	1.5	900
აზოტიანი მინერალური სასუქი		ჰბ	750	1	750
ორგანული სასუქი (ბიოსასუქი - მცენარის პრობიოტიკი)		ტონა	3.5	700	2450
მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ხარჯი (დამულჩვა)		ჰბ	4750	0.1	475
პლანტაციის თოვლის საფარისაგან (თოვლის დაფერთხვა) და სხვა არახელსაყრელი გარემო პირობებისაგან დაცვის სამუშაოები	ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი	კაც/დღე	15	30	450
წამლობითი ლონისძიებები	თებერვალი, მარტი, მაისი,				
მ. შ ფუნგიციდები ოთხჯერადი		კგ/ლ	20	20	400

ინსექტოკარიციდები ოთხჯერადი	ივნისი აგვისტო	კვ/ლ	4	40	160
ბიოპრეპარატები		კვ/ლ	4	50	200
პესტიციდების შესხურება შეფრქვევა ხარჯი		ჰა	4	100	400
გაცელვა, დამულჩვა	ივნისი- აგვისტო	ჰა	1	600	600
აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯი (სულ)	7 385				
გაუთვალისწინებელი ხარჯი					
ბალის მოვლის ხარჯიდან		ჰა	100%	5%	369
სხვა დანახარჯები					
სარწყავი წყლის გადასახადი		ჰა	1	70	70
მიწის გადასახადი		ჰა	1	87	87
დაზღვევა (სუბსიდირებული)*		ჰა	1	300	300
კრეფის ხარჯი	ოქტომბერ - ნოემბერი	კვ	40,000	0.1	4000
სულ ხარჯი (ჯამი)	12 211				
მოსავალი და შემოსავალი	პერიოდი	ერთეული	რაოდენობა	შემოსავალი ერთეულზე	სულ (ლარი)
მანდარინის მოსავალი და შემოსავალი	ოქტომბერ - ნოემბერი	კვ	38,000	0.6	22 800

წყარო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხარჯებისა და შემოსავლების ცხრილი ინტენსიური მანდარინის არსებობის შემთხვევაში (თუმცა ჯერ ასეთი პლანტაცია სრულ მსხმოიარობაში რომ იყოს არ არსებობს არც აჭარაში და არც მთლიანად საქართველოში).

დანართი 6. ეკონომიკური გაანგარიშებები ახალი ნახევრად-ინტენსიური ბალის გაშენების შემთხვევაში

მანდარინის (ჯიში - ტიახარა უნშიუ) პლანტაციის გაშენებისა და სრული აგროტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკური გაანგარიშება წლების მიხედვით											
N	დასახელება										სულ ცხრა წელზე გათვლით
		I წელი	II წელი	III წელი	IV წელი	V წელი	VI წელი	VII წელი	VIII წელი	IX წელი	
1	პლანტაციის გაშენების ხარჯი/ლარი	22,870	0	0	0	0	0	0	0	0	93,960
2	ყოველწლიურად აგროტექნიკურ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი (მოსავლის აღების ჩათვლით)/ლარი	0	6,055	6,205	6,705	8,585	9,385	10,385	11,385	12,385	
3	მოსავლიანობა წლების მიხედვით /კგ	0	0	1,500	6,500	12,000	20,000	30,000	40,000	50,000	160,000
4	პლანტაციიდან მიღებული შემოსავალი/ლარი (სარეალიზაციო ფასი 0.6 ლარი)	0	0	900	3,900	7,200	12,000	18,000	24,000	30,000	96,000
5	მარჟინალური მოგება	0	0	0	0	0	1,615	3,615	12,615	17,615	2,400
6	აგროტექნიკური ღონისძიებების ზედმიწევნით ზუსტად დაცვით პლანტაცია სრულ მსხმოიარობაში შევა მე-9 წლიდან და ერთ ძირზე შეადგენს 50 კგ-ს. აღნიშნული 9 წლის განმავლობაში პლანტაციის გაშენებიდან მასზე დახარჯული ყოველწლიური აგროტექნიკურ ღონისძიებების ანგარიშმა შეადგინა 93 960 ლარი. აღებული მოსავლის რაოდენობა შეადგენს 160 ტონას შემოსავალი 96000 ლარს. შედეგად მე-9 წელს (ცხრა წელზე გათვლით) მარჟინალურმა მოგებამ შეადგინა (96 000 - 93 600 = 2400) 2400 ლარი										

წყარო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი 7. ევროკავშირის მოთხოვნები მანდარინის იმპორტზე.

ცხრილი 13: ევროკავშირში მანდარინის დაბეგვრის რეჟიმები

პროდუქცია	აღწერა	საბაჟო გადასახადის განაკვეთი (%)
მანდარინი (საცუმა და სხვა ჯიშები)	1 იანვარი - თებერვლის ბოლომდე პერიოდში პროდუქციის შესვლის ფასი 100კგ.-ზე (ნეტო).	
	ფასი \geq € 28,6	16%
	€ 28 \leq ფასი < € 28,6	16% + 0,6 €/100 კგ/ნეტო
	€ 27,5 \leq ფასი < € 28	16% + 1,1 €/100 კგ/ნეტო
	€ 26,9 \leq ფასი < € 27,5	16% + 1,7 €/100 კგ/ნეტო
	€ 26,3 \leq ფასი < € 26,9	16% + 2,3 €/100 კგ/ნეტო
	ფასი < € 26,3	16% + 10,6 €/100 კგ/ნეტო
	1 მარტი - 31 ოქტომბრის პერიოდში	16%
	1 ნოემბერი - 31 დეკემბრის პერიოდში პროდუქციის შესვლის ფასი 100კგ.-ზე (ნეტო).	
	ფასი \geq € 28,6	16%
	€ 28 \leq ფასი < € 28,6	16% + 0,6 €/100 კგ/ნეტო
	€ 27,5 \leq ფასი < € 28	16% + 1,1 €/100 კგ/ნეტო
	€ 26,9 \leq ფასი < € 27,5	16% + 1,7 €/100 კგ/ნეტო
	€ 26,3 \leq ფასი < € 26,9	16% + 2,3 €/100 კგ/ნეტო
ფასი < € 26,3	16% + 10,6 €/100 კგ/ნეტო	

წყარო: <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/Entry%20Price.pdf>

უმეტეს პროდუქციაზე საბაჟო გადასახადების გაუქმების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ტექნიკური ბარიერები (სტანდარტები, სერტიფიკატები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები, სხვ.), რომლებიც საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაციის შემდეგ⁴⁴ გაუქმდება.

ევროკავშირის ბაზარზე მანდარინის განთავსებისთვის, პროდუქცია შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს⁴⁵:

1. არ უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით პესტიციდებს.
2. არ უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის საზიანო.
 პროდუქციის უვნებლობის უზრუნველსაყოფად იმპორტისას შემოწმდება პროდუქცია, მისი წარმომავლობა და ყველა საჭირო დოკუმენტაცია⁴⁶ (ანგარიშფაქტურა, ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, სატრანსპორტო დოკუმენტაცია, ტვირთის დაზღვევა, ტვირთის სია, საბაჟო დეკლარაცია).

⁴⁴ <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf>

⁴⁵ <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/buyer-requirements/>

⁴⁶ <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/documents-customs-clearance>

3. უნდა აკმაყოფილებდეს მარკეტინგულ სტანდარტებს⁴⁷.

DCFTA შეთანხმების საფუძველზე მანდარინი სარგებლობს სპეციალური მარკეტინგული სტანდარტებით⁴⁸. მარკეტინგული სტანდარტებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მანდარინის **ხარისხი**. იგი არ უნდა იყოს დაზიანებული მავნებლებისგან, ყინვისგან, დეჰიდრატაციისგან. არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი ან გემო. სავაჭროდ გამოიზნული ნაყოფის მდგომარეობა უნდა იყოს ისეთი, რომ გაუძლოს ტრანპორტირებას და დანიშნულების ადგილს დაუზიანებლად მიაღწიოს.

ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია **პროდუქციის სიმწიფე**. მანდარინმა უნდა მიაღწიოს სიმწიფის სათანადო ხარისხს, რომელიც განისაზღვრება მინიმალური წვენისა და შაქრის შემცველობით, შაქრის/მჟავიანობის თანაფარდობით და შეფერილობით (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14: ევროკავშირის მინიმალური მოთხოვნები ხარისხზე

მინიმალური მოთხოვნები ხარისხზე:			
ჯიშები	მინიმალური წვენის შემცველობა (%)	მინიმალური შაქარი/მჟავიანობის წილი	ფერი
საცუმა	33%	6,5:1	სულ მცირე პროდუქციის ზედაპირის ერთი მესამედი უნდა იყოს ტიპური შეფერილობის
კლემენტინი	40%	7,0:1	
მანდარინის სხვა სახეობები და ჰიბრიდები	33%	7,5:1	

ევროკავშირში ექსპორტირებული მანდარინი უნდა იყოს უმაღლესი (Extra), პირველი (Class I) ან მეორე (Class II) ხარისხის.

ცხრილი 15: ევროკავშირში ხარისხის მოთხოვნები

კლასიფიკაცია	მახასიათებლები
უმაღლესი ხარისხის მანდარინი (Extra)	უმაღლესი ხარისხის მანდარინი არის დაუზიანებელი ან აქვს უმნიშვნელო ზედაპირული დაზიანება.
	მასში არსებობს 5%-იანი დაშვება (ტოლერანტობა), რომელიც შეიძლება არ იყოს შესაბამისი კლასის და იყოს პირველი კლასის (მაქსიმუმ 0.5% შეიძლება იყოს მეორე კლასის).

⁴⁷ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32011R0543&from=en> ; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32011R0543>

⁴⁸ <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/buyer-requirements/>

პირველი კლასის მანდარინი (Class I)	პირველი კლასის მანდარინი არ არის იდეალური ფორმის, მის გარეკანს აქვს მცირე დაზიანებები გამოწვეული მზისგან, სეტყვისგან, მავნებლებისგან, შეფუთვისაგან და სხვ.
	მასში არსებობს 10%-იანი დაშვება (ტოლერანტობა), რომელიც შეიძლება არ იყოს შესაბამისი კლასის და იყოს მეორე კლასის (მაქსიმუმ 1% შეიძლება იყოს მეორე კლასზე დაბალი ხარისხის).
მეორე კლასის მანდარინი (Class II)	მეორე კლასის მანდარინს აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები ფორმაში, შეფერილობაში, აქვს უხეში ან დაზიანებული კანი, თუმცა, იგი ინარჩუნებს მის ბუნებრივ მახასიათებლებს და აკმაყოფილებს მინიმალურ საბაზრო მოთხოვნებს.
	მასში არსებობს 10%-იანი დაშვება (ტოლერანტობა), რომელიც შეიძლება არ იყოს შესაბამისი მეორე კლასის და ვერ აკმაყოფილებდეს მინიმუმ მოთხოვნებს (მაქსიმუმ 2% შეიძლება იყოს ლპობის სტადიაში).

გარდა ხარისხისა, მნიშვნელოვანია მანდარინის **ზომა**.

მინიმალური ზომა.

განსაზღვრულია მანდარინის დიამეტრის მინიმალური ზომა - 45 მილიმეტრი.

ცხრილი 16: ევროკავშირში იმპორტირებული ციტრუსის დიამეტრის მინიმალური ზომა

ხილი	დიამეტრი (მმ)
ლიმონი	45
საცუმა, სხვა მანდარინის ჯიშები და ჰიბრიდი	45
კლემენტინები	35
ფორთოხალი	53

დასაშვებია, რომ მანდარინის პროდუქციის რაოდენობის ან წონის 10% იყოს დადგენილ მინიმალურ დონეზე დაბალი (საცუმა და სხვ. - 43 მილიმეტრი, კლემენტინი - 34 მილიმეტრი).

ერთგვაროვნება.

პროდუქციის ზომის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად შეფუთვაში არსებული მანდარინების ზომებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს:

- 10 მმ-ს, თუ შეფუთვაში ყველაზე პატარა მანდარინის დიამეტრი < 60 მმ;
- 15 მმ-ს, თუ შეფუთვაში ყველაზე პატარა მანდარინის დიამეტრი 60 მმ < დიამეტრი < 80 მმ შუალედშია;
- 20 მმ-ს, თუ შეფუთვაში ყველაზე პატარა მანდარინის დიამეტრი 80 მმ < დიამეტრი < 110 მმ შუალედშია;

- ზღვარი არ არის განსაზღვრული, თუ შეფუთვაში ყველაზე პატარა მანდარინის დიამეტრი > 110 მმ-ია.

ზომის კოდი

რაც შეეხება ზომის მიხედვით დახარისხებას, ევროკავშირში მანდარინისათვის მიღებულია 7 სახის კოდური კლასიფიკაცია:

ცხრილი 17: მანდარინის კლასიფიკაცია ზომის კოდის მიხედვით

	ზომის კოდი	დიამეტრი (მმ)
საცუმა, სხვა მანდარინის სახეობები და ჰიბრიდი	1 - XXX	78 და ზევით
	1 - XX	67 - 78
	1 ან 1 - X	63 - 74
	2	58 - 69
	3	54 - 64
	4	50 - 60
	5	46 - 56

მანდარინის ხარისხთან და ზომასთან ერთად, მიშენელოვანია, თუ როგორ მოხდება მანდარინის **ბაზარზე წარდგენა**. შეფუთვაში მანდარინი უნდა იყოს ერთგვაროვანი წარმოშობით, ჯიშით, ხარისხით, ზომით და სიმწიფის ხარისხით. შესაფუთი მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რომ არ დააზიანოს შიგთავსი. სიფრთხილეა საჭირო ეტიკეტირებისას, კერძოდ, საჭიროა არატოქსიკური მელნის გამოყენება.

და ბოლოს, **მარკირებისას** პროდუქციას უნდა ჰქონდეს შემდეგი დეტალები: საიდენტიფიკაციო მონაცემები, მანდარინის ჯიშის დასახელება, წარმომავლობა, სპეციფიკური მახასიათებლები (კლასი, ზომა, ოფიციალური საკონტროლო ნიშანი (სურვილისამებრ)).

4. უნდა იყო ჯანსაღი პროდუქტი.

მანდარინი, რომელიც განთავსდება ევროკავშირის ბაზარზე, უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს⁴⁹, რაც გულისხმობს იმას, რომ იმპორტისას პროდუქციას თან უნდა ერთვოდეს უვნებლობის და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია⁵⁰. მანდარინის შემთხვევაში ეს არის **ფიტოსანიტარული სერტიფიკატი**, რომელსაც გასცემს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) და **წარმოშობის სერტიფიკატი (EUR 1)**, რომელსაც გასცემს სსიპ შემოსავლების სამსახური.

გარდა ამისა, მან უნდა გაიაროს საბაჟო და ფიტოსანიტარული შემოწმება, მისი იმპორტი უნდა მოხდეს ევროპაში რეგისტრირებული იმპორტიორის მიერ, ხოლო პროდუქცია ექსპორტირებულად უნდა გამოცხადდეს საბაჟოზე მისვლამდე.

5. აუცილებელია დამაბინძურებელი ნივთიერებების კონტროლი.

შესაძლოა მანდარინი დაბინძურდეს შეფუთვის, ტრანსპორტირების, შენახვის პროცესში. ევროკავშირის შემუშავებული აქვს დაბინძურების ხარისხის ზედა

⁴⁹ <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/sanitary-and-phytosanitary-requirements>

⁵⁰ <http://www.dcfra.gov.ge/>

ზღვარი⁵¹, იმისათვის რომ დაიცვას ევროპელი მომხმარებელი და უზრუნველყოს ჯანმრთელობისთვის უვნებელი პროდუქტით.

⁵¹ http://exporthelp.europa.eu/update/requirements/ehir_eu14_03v001/eu/auxi/eu_heafcon_annex_r1881_2006.pdf

